ნათია ჩუბინიძე

ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
ივლისი 2019

საავტორო უფლება 2019 ნათია ჩუბინიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნათია ჩუბინიძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „**ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა**“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: _____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
2019 წელი

ავტორი: ნათია ჩუბინიძე

დასახელება: ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

ფაკულტეტი: იურიდიული

ხარისხი: სამართლის მაგისტრი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სისხლის სამართალი, როგორც ადამიანის უფლებებთან შემხებლობაში მყოფი ყველაზე მწვავე სფერო, საჭიროებს სათანადო რეგულირებას, რათა არ მოხდეს ადამიანის ძირითად უფლებებში გაუმართლებელი ჩარევა. ფარული საგამოძიბო მოქმედებები პირდაპირაა დაკავშირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვასთან, თუმცაღა დასაშვებია კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ფარული საგმოძიებო მოქმედების ისეთი სახე როგორიცაა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა მტკივნეულად აღიქმება საზოგადოების მხრიდან და განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა. 2012 წელს უკანონოდ მოპოვებული სატალეფონო კომუნიკაციის დაახლოებით 29 000 მდე ჩანაწერი გავრცელდა ინტერნეტით, რამაც გამოიწვია საზოგადოების პროტესტი, არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება, რომელთაც 2014 წლიდან დაიწყეს კამპანია - ,,ეს შენ გეხება“ ,,ისევ გვისმენენ''. პარლამენტში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი წარადგინეს, რათა აღმოფხვრილიყო უკანონო მოსმენის შესაძლებლობა და ამ პერიოდიდან დღემდე მიმდინარეობს კანონმდებლობის დახვეწა, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული ადამიანის პირადი ცხოვრება გაუმართლებელი და უკანონო ჩარევისგან. ნაშრომში მიმოხლილულია განხორცილებული საკანონმდებლო ცვლილებების დადებითი და უარყოფითი მხარეები, განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 ააპრილის N625 გადაწყვეტილებაზე, რომელმაც გარდამტეხი როლი შეასრულა ადამიანის უფლებების დასაცავად. ადამიანის პირადი ცხოვრება ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას სათანადოდ ვერ იქნება დაცული თუ არ იარსებებს ეფექტური კონტროლის მექანიზმები. ნაშრომში განხილულია კონტროლის მექანიზმების დადებითი და უარყოფითი მხარეები. საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის განხილვამ ხელი შეუწყო პრობლემების გამოკვეთას და გადაჭრის გზების მოძიებას.

Abstract

Criminal law has the most intensive relation to the human rights, that why it needs to be regulated well to avoid retributive justice. Secret investigative actions has direct link to the right of privacy, that why according to the Georgian constitution such kind of intervention is allowed only with legitimate aims. Modern Georgian society has very sensitive fillings about some type of secret investigative actions such are secret eavesdropping and recording of phone conversations. In 2012 there was almost 29000 unlawfully recorded phone conversations which where spread by the internet, such kind of action raised the felling of protest in people. In 2014 NGO's started civil campaign named as "It's about you, we are still recorded," by this time In the parliament of the Georgia represented legislative package of laws, which were intended to minimize number of unlawful secret investigative actions. The main aim was to defend human rights and right of privacy. The main research in this publication is about positive and negative sides of legislative changes. The most important part of this research is about decision of Georgian constitutional court which was taken in 14.04.2016. This decision played turning role to defend human rights. The right of privacy can't be defended without effective mechanisms which controls secret investigative actions. In this publication is research about positive and negative sides of control mechanisms. The discussion and analyze practice of the constitutional court helped to find out problem and the ways of its solution.

Contents

No table of contents entries found.

შესავალი

ნაშრომის აქტულობა: სისხლის სამართალი არის ადამიანის ძირითად უფლებებთან შემხებლობაში არსებული ყველაზე მწავავე სფერო. ამიტომაც მისი სათანადოდ რეგულირება ადამიანის უფლებებში არასათანადო და დაუსაბუთებელი ჩარევისგან დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა. ასეთი რეგულირების არ არსებობა ხშირად იწვევს კერძო პირის ინტრესების გაუმართლებელ შეზღუდვას საჯარო ინტერესის სახელით,ამიტომაც მნიშვნელოვანია რომ კანონმდებლობის საფუძველზე დაცული იყოს ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.[1]

სისხლის სამართლის საპროცესო კანონდებლობა მიზნად ისახავს გამოძიების, სისხლისსამართლებრივ დევნის და მართლმსაჯულების განხორციელებას (სსსკ-ის პირველი მუხლი), რაც იწვევს ადამიანის პირად ცხოვრებში ჩარევას, თუმცა ,,პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელი, კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, ამასთან იმ პირობის სავალდებულო დაცვით, რომ უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი და პროპორციული გზით მოხდება.''[2]

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლებაში

---

[1] იხ.ხუციშვილი ე.; ვერძეული ს., ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, საია, თბილისი, 2012,1.

[2] იხ.იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება საქმეზე -საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,II,29.

ჩარევა. „ეს უფლება, ერთ-ერთი თვალსაჩინოა იმ უფლებებს შორის, რომელთა შინაარსის განსაზღვრისას, ხელისუფლება დემოკრატიული და პოლიციური სახელმწიფოების ზღვარზე გადის. ზოგადად, ადამიანებზე ფარული დაკვირვება პოლიციური სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი. იმავდროულად, ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება ადამიანთა უფლებების ეფექტურ დაცვას, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულებაა. ზუსტად ამ საჯარო ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურება დასახელებული უფლების შეზღუდვა. ... ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწფოს ვალდებულებაა, მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა აღიკვეთოს სერიოზული საფრთხეები, რომლებმაც შეიძლება დემოკრატიული ინსტიტუტების დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. ამიტომ ამ საფრთხეებთან ბრძოლისთვის, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს, მათ შორის იმის შესაძლებლობაც, რომ განახორციელოს ფარული კონტროლი, თვალთვალი პირებზე (პირთა ჯგუფზე), რომელთაგანაც ეს საფრთხეები მომდინარეობს. ასეთ დროს, ზუსტად უფლებაში ჩარევის ფარული ხასიათი უზრუნველყოფს საჯარო ინტერესის დაცვის ეფექტურობას“.[3]

2012 სექტემბერში სხვადასხვა ქსელით გავრცელდა ჩანაწერები, რომელიც მოიცავდა უკანონო ფარული მიყურადებით შეგროვებულ პირადი ცხოვრების ამსახველ მასალას. ჩანაწერები ძირითადად 2003-2012 წლებში უკანონოდ იქნა შეგროვებული სხვადასხვა ძალოვანი უწყების მიერ.გავრცელებული ინფორმაციით, ჩანაწერები მოიცავდა დაახლოებით 29,000-მდე ვიდეო და აუდიო ჩანაწერს. 2012 სექტემბერი - ჩანაწერების გავრცელებამ დიდი საზოგადოებრივი გამოხმაურება გამოიწვია.2013 ივლისში უკანონო მიყურადებასთან დაკავშირებული ცვლილებების პაკეტი წარდგენილ იქნა პარლამენტში. 2014 მარტში უკანონო მიყურადების

[3] იქვე,31.

საკითხის დარეგულირების გაჭიანურების გამო არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაიწყეს კამპანია „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ“. საერთაშორისო დამკვირვებლების პოზიციის გათვალისწინებით, კამპანიის მოთხოვნა იყო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დასაცავად შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებების მიღება, და საკომუნიკაციო მონაცემებზე ხელისუფლების პირდაპირი წვდომის შეზღუდვა.2014 აგვისტოში პარლამენტმა 2013 წლის ივლისში წარდგენილი ცვლილებების მხოლოდ ერთი ნაწილი მიიღო. აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილის მხრიდან (შსს, პრემიერმინისტრი) მთავარი წინააღმდეგობა შეეხებოდა საკომუნიკაციო მონაცემებზე პირდაპირი წვდომის შეზღუდვის საკითხს. ამ საკითხის მოწესრიგება გადაიდო 2014 წლის 1 დეკემბრამდე.2014 ოქტომბერში პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებები „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც, ფარული თვალთვალის ერთი გასაღები (ანუ წვდომა) ისევ შსს-ს დარჩა, მეორე გასაღების გამოყენების უფლება კი, მხოლოდ ფარული სატელეფონო მოსმენის შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მიენიჭა.2016 აპრილში საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული ის რეგულაციები, რომელიც სუს-ს მობილური ოპერატორების სერვერებთან პირდაპირი წვდომის გზით მიყურადების განხორციელების საშუალებას აძლევდა. სასამართლომ ამ საკანონმდებლო ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად პარლამენტს ვადა 2017 წლის 31 მარტამდე განუსაზღვრა.[4] საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა მთელი რიგი ცვლილებები,რაც ნაშრომში იქნება განხილული, აგრეთვე საუბარი იქნება იმ ხარვეზებზე, რასაც კანონმდებლობაში შესული ცვლილებები ადგენს.

[4] იხ.ფარული მიყურადების რეგულირება საქართველოში (იანვარი-აგვისტო, 2017), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი,4-5 ,https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/rule_of_law/surveillance_report_geo.pdf[03.06.2019].

თემის ატუალობას ხაზს უსვამს ისიც,რომ ყოველ წლიურად საგრძნობლად იზრდება სასამართლოში შესული შუამდგომლობები ფარული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე,რასაც ადასტურებს ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილი დანართი(N1),აგრეთვე ფარული საგამოძიებო მოქმედები არის ახალი საგამოძიებო მოქმედებები სისხლის საპროცესო კანონმდებლობაში,მასზე ბევრი არ არის დაწერილი,ამასთანავე უახლესი და შეიძლება ითქვას ფუნდამენტური ცვლილება განხორციელდა,რაც ძალაში შევიდა ახლახანს- 08.05.2019 წელს.

კვლევის მიზანი: კვლევა მიზნად ისახავს იმის წარმოჩენას თუ რამდენად არის დაცული პიროვნების პირადი ცხოვრების ხელსეუხებლობის უფლება ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას ხელისუფლების მხირდან უკანონო და არამართლზომიერი ხელყოფისაგან. არსებობს თუ რა ფარულ საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელ ორგანოზე ან თავად ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლის ეფექტური მექანიზმები? ნაშრომი მიზნად ისახავს ასევე წარმოაჩინოს განხორციელებული ცვლილებების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

კვლევის მეთოდები: ნაშრომში გამოყენებულ იქნება კვლევის ისეთი მეთოდები როგორებიცაა ისტორიული; ლოგიკური; სისტემური; შედარებით სამართლებრივი მეთოდები, ასევე საუბარი იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტულ სამართალზე ფარულ საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე .ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს საკითხის გააზრებასა და პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებას.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება 4 თავის, 15 ქვეთავის და 2 ქვეთავის ქვეთავისაგან. პირველ თავში დახასიათებული იქნება ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რათა მკითხველს შეექმნას ზოგადი წარმოდგენა, როგორია მისი ჩატარების წესი პრინციპი, რომელია განმახორციელებელი ორგანო და სხვ. მეორე თავში საუბარი იქნება ფარული საგამოძიებო

მოქმედების საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისობაზე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებთან. მიმოხილული იქნება კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული სფერო და ჩარევის საფუძვლები, როგორც საქართველოს კონსიტუციით განსაზღვრული, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გათვალისწინებული.ქვე საუბარი იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასაამრთლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625 გადაწყვეტილების არსებითი მნიშვნელობის გამო მას დაეთმობა მე-3 თავი და მის საფუძველზე განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს,ხოლო მე-4 თავში საუბარი იქნება კონტროლის მექანიზმებზე.

თავი I. ფარული საგამოძიებო მოქმედებები

1.1. ზოგადი მიმოხილვა

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპზე დაყრდნობით, სახელმწიფო ვალდებულია ცნოს და დაიცვას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებები და თავისუფლებები (საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი). ადამიანის უფლებების თუ თავისუფლებების დარღვევის ერთ-ერთი გზა არის დანაშაული. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი წვლილი შეაქვს სისხლის სამართლის კანონს, რომელიც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს ადგენს, განსაზღვრავს დანაშაულებრივ ქმედებებს და აწესებს შესაბამის სასჯელებს (სსკ-ის პირველი მუხლის პირველი ნაწილი).

სისხლის სამართლის კოდექსი წარმოუდგენელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გარეშე,რადგან ის ადგენს ,,დანაშაულს გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნის და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს'' (სსსკ-ის პირველი მუხლი). სსსკ ითვალისწინებს გამოძიების დაწყების ვალდებულებას დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში(სსსკ-ის მე-100 მუხლი). გამომძებელმა გამოძიება უნდა ჩაატაროს ყოველმხრივად,სრულად და ობიექტურად (სსსკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები. ყურადსაღებია, ფარული საგამოძიებო მოქმედებები,რომელიც მოიცავს სსსკ-ის 143^{1} -143^{10} მუხლებს. 2002 წლის ბოლოს მუშაობა დაიწყო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემუშავებაზე, რათა მნიშვნელოვნად გამარტივებულიყო

სისხლის სამართლის სისტემა .[5] კანონპროექტის მიზანი იყო შეექმნა ისეთი სისხლის სამართლის სიტემა, რომელიც აგებული იქნებოდა ისეთ პრინციპებზე დაყრდნობით როგორიცაა: მხარეთა შეჯიბრებითობა, თანასწორობა ,საჯაროობაა, მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევა და სხვა პროგრესული პრინციპები.[6] კანონპროექტის ერთ-ერთ მთავარ სიახლეს წარმოადგენდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის არსებითი გარდაქმნა ჩვეულებრივ საგამოძიებო მოქმედებად,რომელიც მიზნად ისახავდა მაქსიმალურად მკაცრი სასამართლო კონტროლის დაწესებას ისეთ ღონისძიებებზე, რომელიც პოტენციურად ყველაზე მეტად აღწევს პიროვნების პირად ცხოვრებაში.[7]

2006 წლის 02 მარტის მდგომარეობით არსებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტით ფარული საგამოძიებო მოქმედებები დარეგულირებული იყო 158-166 მუხლებით.[8] 158-ე მუხლის პირველი ნაწილი განმარტავდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ცნებას და სახეებს ,კერძოდ ,ფარულია საგამოძიებო მოქმედება, რომლის მიზანია აღმოჩენილ და ამოღებულ იქნას საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგანი ,დოკუმენტი ,ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.ზემოთ აღნიშნული კანონპროექტის 158-ე მუხლის მე-2 ნაწილით დარეგულირებული იყო ფარული საგამოძიებო მოქმედების ისეთი სახეები როგორებიცაა: ვიზუალური კონტროლი; კონტროლირებადი მიწოდება; საკონტროლო შესყიდვა; სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლი; ყადაღის დადება და ამოღება, ბრალდებულის კორესპონდენციის ცენზურა; დანაშაულებრივ დაჯგუფებაში საიდუმლო თანამშრომლის შეგზავნა; კონსპირაციული

[5] იხ.განმარტებითი ბარათი , https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110622,გვ.1, [ნანახია 20.04.2019].
[6] იქვე.
[7] იქვე გვ.2.
[8] იხ.კანონპროექტი https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110621, გვ.62-65,[ნანახია 20.04.2019]

ორგანიზაციის შექმნა. კანონპროექტის 160-ე მუხლის მიხედვით მიხედვით ,მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობას განიხილავდა შეტანიდან 24 სთ-ში და თავისი ბრძანებით (განჩინებით) გასცემდა თანხმობას ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ან უარს ამბობდა.ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანო 161-ე მუხლის მიხედვით იყო წინასასამრთლო გამოძიების ჩატარების უფლების მქონე ორგანო. კანონპროექტში საუბარი იყო იმაზეც, რომ მინიმუმამდე უნდა ყოფილიყო დაყვანილი ფარული საგამოძიებო მოქმედება ,რაც გულისხმობდა იმას,რომ მაქსიმალურად უნდა შეზღუდულიყო იმ პირთა კომუნიკაციის კონტროლი რომელთაც არ ჰქონდათ კავშირი გამოძიებასთან. [9] სასულიერო პირის, ადვოკატის, ჟურნალისტის ,იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ შეიძლებოდა ჩატარებულიყო ფარული საგამოძიებო მოქმედება თუ ეს არ უკავშირდბოდა კანონით დაცულ მათ საქმიანობას.[10] უნდა აღინიშნოს ის ,რომ კანონროექტი ითვალისწინებდა დღევანდელი რეგულირებისგან განსხვავებულ რეგულირებას განჩინების ვადასთან დაკავშირებით,კერძოდ, განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე გაიცემოდა 30 დღემდე ვადით და ამ ვადის გაგრძელება დასაშვები იყო კიდევ 30 დღემდე ვადით. ძალას კარგავდა ეს განჩნება თუ 15 დღის ვადაში განჩინების გაცემიდან არ დაიწყებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედება.[11]

ასევე ყურადსაღებია ფარული საგამოძიებო მოქმედების რეესტრიც ,რომელსაც აწესრიგებდა კანონპროექტის 166-ე მუხლი და გულისხმობდა რეესტრის შექმნას სასამართლოში,სადაც ბრძანების გამცემ მოსამართლეს შეჰქონდა ისეთი მონაცემები როგორიცაა: ვინ; ,როდის; ვისი შუამდგომლობით; ვის მიმართ და რა ვადით გასცა ბრძანება (განჩინება)ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად.

---

[9] იხ.კანონპროექტი https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110621, 162-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[10] იქვე, 162-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[11] იქვე, 160-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

ზემოთ აღნიშნულ კანონპროექტში რამდენიმე ცვლილება იქნა შეტანილი. 2006 წლის 03 ივლისის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის ფარული საგამოძიებო მოქმედებების თავში აღარ ვხდებით ფარული საგამოძიებო მოქმედების ცნების განმარტებას.[12] 160-ე მუხლს პირველ ნაწილის სახით დაემატა მნიშვნელოვანი დანაწესი, კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობდა გონივრული ეჭვი,რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და არსებული ინფორმაცია ადასტურებდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას. ამ ჩანაწერს 2009 წლის 16 ივლისის კანონპროეტის 138-ე მუხლის პირველი ნაწილი ცვლის შემდეგნაირად: ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში,თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და არსებული ინფორმაცია ადასტურებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას.[13]

2009 წლის 16 ივლისის კანონროექტით კიდევ შეიცვალა გარკვეული მუხლები.ცვლილება შეეხო განჩინების გაცემის ვადასაც, კერძოდ, განჩინება გაიცემოდა 30 დღემდე ვადით, ამ ვადის გაგრძელება დასაშვები იყო პროკურორის შუამდგომლობით და ძალას დაკარგავდა თუ გაცემიდან 30 დღის ვადაში არ დაიწყებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედება.[14]

გაფართოვდა იმ პირთა წრე,რომელთა კომუნიკაციის მონიტორონგიც უნდა შეზღუდულიყო თუ საქმე შეეეხებოდა კანონით დაცულ მათ საქმიანობას. ეს პირები იყვნენ: სასულიერო პირი; პოლიტიკური ან საზოგადო მოღვაწე; გამომცემელი; მეცნიერი; პედაგოგი;ადვოკატი; ჟურნალისტი ან იმუნიტეტის მქონე პირი.[15]

---

[12] იხ. 03.07.2006კანონპროექტი https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/75645,[ნანახია 20.04.2019] მუხლი 158.
[13] იხ.16.07.2009 კანონპროექტი https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110614,[ნანახია 20.04.2019] 138-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[14] იქვე, 138-ე მუხლის მე-4 ნაწილი.
[15] იქვე, 140-ე მუხლის მე-2 ნაწილი

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა შეიცვალა ტერმინით ტექნიკური საშუალებით განხორციელებული კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა.[16]

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ძალაში შევიდა 2010 წლის 01 ოქტომბერს და გარდამავალი და დასკვნითი დებულებების თავში, 333-ე მუხლში ჩაიწერა რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების თავი უნდა ამოქმედებულიყო 2011 წლის აპრილიდან.[17] 2010 წლის 24 სექტემბერს ცვლილება შევიდა სსსკ-ში და ფარული საგამოძიებო მოქმედებების თავი ,რომელიც 2011 წლის აპრილიდან უნდა ამოქმედებულიყო საერთოდ ამოიღეს,მის ნაცვლად კი გაჩნდა კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების თავი. [18] მოგვიანებით სსსკ-ში ფარული საგამოძებო მოქმედებები ისევ ჩნდება 2014 წლის 01 აგვისტოდან[19], იმ მიზნით რომ აღმოეფხვრა 2014 წლის 01 აგვისტომდე მოქმედი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მარეგულირებელი ნორმების ნაკლოვანება, ის ,,ვერ უზრუნველყოფდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისას გამჭვირვალე გარემოს შექმნას, სასამართლო კონტროლის ეფექტურ განხორციელებას და ამ პროცესში ადამიანის უფლებათა ჯეროვან დაცვას.''[20] სსსკ-ით დაწესდა უფრო მაღალი სტანდარტები ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისთვის ,განისაზღვრა მისი ჩატარების როგორც ფორმალური ისე მატერიალური

---

[16] იქვე,136-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ'' ქვ/პ.

[17] იხ.სსსკ 2009 წლის 3 ნოემბრის მდგომარეობით, 333-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები, https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=0 [ნანახია 20.04.2019].

[18] იხ.სსსკ 2010 წლის 24 სექტემბრის მდგომარეობით,თავი 16, https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=1,[ნანახია 20.04.2019].

[19] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2457218?publication=0>, [ნანახია 12.04.2019].

[20] განმარტებითი ბარათი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ კანონის პროექტზე,გვ.13,<http://www.parliament.ge/files/Draft_Bills/4.06.13/sisxli-1.59.pdf>,[ნანახია 12.04.2019].

წინაპირობები და ადამიანის უფლებების დაცვა უფრო მეტად იქნა გარანტირებული 2014 წლის ცვლილებებით.[21]

ფარული საგამოძიებო მოქმედებების თავით დარეგულირებულია ისეთი საკითხები როგორიცაა:ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეები,ვადები და განმახორციელებელი ორგანოები, კონტროლის მექანიზმები, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წესები და პრინციპები, ინფორმაციის შენახვის/განადგურების ვალდებულებები, ფარული საგამოძებო მოქმედების ობიექტის ულებები და სხვა საკითხები რომელიც დეტალურად იქნება განხილული ნაშრომში.

1.2. ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეები და განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანო

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ფარული საგამოძებო მოქმედებების ისეთ სახეებს როგორიცაა: ა) სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;გ) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი; დ) ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება; ე) ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის

[21] იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება საქმეზე -საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.,179.

სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს. ფარული საგამოძებო მოქმედების ისეთი სახე როგორიც არის გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა ამოქმედდება 2020 წლის 30 მარტიდან (სსსკ-ის 143[1] მუხლის პირველი ნაწილი.) კოდექსი უშვებს ერთდროულად რამდენიმე ფარული საგამოძებო მოქმედების განხორციელებას (სსსკ -ის 143[1] მუხლის მე-2 ნაწილი).

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა გულისხმობს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული პირის საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებულ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებასა და ჩაწერას (სსსკ -ის მე-3 მუხლის 36-ე ნაწილი). ავტორიზებული პირი არის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ რეგისტრირებული ნებისმიერი სამეწარმეო პირი, აგრეთვე ნებისმიერი არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფას (ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი) ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას (ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი). [22] საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ კანონის მე-2 მუხლი განმარტავს როგორც კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარულ, ნახევრად სტაციონალურ და არა სტაციონარულ ტექნიკურ შესაძლებლობებს. კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა გულისხმობს წინასწარ განსაზღვრული არქიტექტურითა და დადგენილი ინტერფეისებით, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით გადაცემული კომუნიკაციის და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადაჭერა უფლებამოსილი ორგანოს მიერ კომუნიკაციის მიმდინარეობისას ან მისი დასრულებისთანავე, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის ქსელურ

[22] ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,ვ'' ქვ/პ.

ან/და სასადგურე ინფრასტრუქტურაზე შესაბამისი აპარატული ან/და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების განთავსებით/მონტაჟით; კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების ნახევრად სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა არის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით გადაცემული კომუნიკაციის და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადაჭერა უფლებამოსილი ორგანოს მიერ კომუნიკაციის მიმდინარეობისას ან მისი დასრულებისთანავე, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის ქსელურ ან/და სასადგურე ინფრასტრუქტურაზე შესაბამისი აპარატული ან/და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების დროებითი ან მუდმივი განთავსებით/მონტაჟით; კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების არასტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა გულისხმობს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით გადაცემული კომუნიკაციის და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადაჭერა უფლებამოსილი ორგანოს მიერ კომუნიკაციის მიმდინარეობისას ან მისი დასრულებისთანავე, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის ქსელურ ან/და სასადგურე ინფრასტრუქტურაზე მიერთების გარეშე, სპეციალური ტექნიკური ან/და პროგრამული საშუალებების გამოყენებით.[23]

ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან წარმოადგენს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ ელექტრონული კავშირიდან (ელექტრონული ფოსტა), კავშირგაბმულობის ქსელიდან, სატელეკომუნიკაციო ან საინფორმაციო სისტემიდან მიმდინარე, გადაცემული, მიღებული, შეკრებილი, დამუშავებული ან დაგროვებული ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია ტექნიკურ ან/და პროგრამულ საშუალებათა გამოყენებით (სსსკ -ის მე-3 მუხლის 33-ე ნაწილი). ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კომპიუტერული სისტემიდან არის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ კომპიუტერული სისტემიდან გადაცემული, მიღებული,

[23] საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებკანონის მე-2 მუხლი,<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3597534?publication=4>[21.04.2019].

აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში მიმდინარე, შეკრებილი, დამუშავებული ან დაგროვებული ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია ტექნიკურ ან/და პროგრამულ საშუალებათა გამოყენებით (სსსკ-ის მე-3 მუხლის 34-ე ნაწილი).

გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა გულისხმობს მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის რეალურ დროში მაქსიმალურად შესაძლო სიზუსტით განსაზღვრას (სსსკ-ის მე-3 მუხლის 35-ე ნაწილი).

ფარული საგამოძიებო მოქმედების ისეთ სახეებს როგორებიცაა: სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულოის არხიდან, კომპიუტერული სისტემიდან და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური გზავნილის გარდა) კონტროლი ,ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, (სსსკ-ის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილის ,,ა'' ქვ/პ) რომელიც შედის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემადგენლობაში. გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის უფლებამოსილებაც სააგენტოს ექნება როდესაც ამოქმედდება ფარული საგამოძიებო მოქმედების ეს სახე. [24] სააგენტო თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა კანონების, ამ დებულების, სააგენტოს უფროსისა და [25] სამსახურის

[24] სსს-ის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილის ,,ა'' ქვ/პ; საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის ,,ა.დ'' ქვ/პ.

უფროსის სამართლებრივი აქტების, ასევე სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების შესაბამისად.[26]

სააგენტო მიზნად ისახავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე, სპეციალური ტექნოლოგიური საშუალებებით, ფარული მეთოდებით საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგისა და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვებას და ამ მიზნით ისეთ ღონისძიებათა განხორციელებას, [27] რომელიც შედის მის უფლებამოსიებაში და რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი.

სააგენტო უფლებამოსილია: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელოს: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებები; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედება. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიება და იმავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებები; კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვოს და გასცეს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები; კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სტრატეგიული

[26] საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დებულების პირველი მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები.
[27]საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის ,,ა'' ქვ/პ.

მონიტორინგის ღონისძიება; კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიება.[28]

ფარული საგამოძიებო მოქმედების ისეთ სახეებს როგორებიცაა:ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება; ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს,ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში(სსსკ-ის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილის ,,ბ'' ქვ/პ).

განმახორციელებელ ორგანოსთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი რეგულირება არსებობდა, 2014 წლის 01 აგვისტოს, როდესაც სსსკ-ში გაჩნდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების თავი, 143[4] მუხლში ნათქვამი იყო, რომ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას ატარებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო სსსკ-ით და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესებით.[29]2015 წლის 27 ოქტომბერს სსსკ-ში გაჩნდა ჩანაწერი,რომლის თანახმადაც 143 [1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების(სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია) განხორციელების უფლებამოსილება ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური

[28] საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის პირველი ნაწილი.
[29] სსსკ 01.08.2014 მდგომარეობით.

დეპარტამენტს. [30] აღნიშნული მიდგომა გრძელდება 2017 წლის 22 მარტამდე,შემდგომ ოპერატიულ ტექნიკურ დეპარტამენტს ანაცვლებს ოპერატიულ ტექნიკური სააგენტო და შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო.[31]

მიზეზი თუ რატომ გაჩნდა ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო სისხლის სამართლის პროცესში განმარტებითი ბარათის მიხედვით გახლდათ ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 04 აპრილს არაკონსტიტუციურად სცნო ფარული მიყურადების განხორციელების არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, შესაბამისად პარლამენტი ვალდებული იყო მიეღო ისეთი რეგულაცია, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან. შეიქმნა სააგენტოს სახით ისეთი ორგანო,რომელიც ისარგებლებდა დამოუკიდებლობის ადეკვატური გარანტიებით; არ ექნებოდა საგამოძიებო, სადაზვერვო ან კონტრსადაზვერვო ფუნქციები და ამ თვალსაზრისით არ იქნებოდა პროფესიულად დაინტერესებული, მოეპოვებინა მეტი ინფორმაცია; როგორც დამოუკიდებელი და პროფესიული ინტერესის არ მქონე ორგანოს, უზრუნველყოფდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელებისთვის აუცილებელი ტექნიკური ინფრასტრუქტურის შექმნას, მომსახურებას, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებისა და ინსტრუქციების შემუშავებას, დამტკიცებას და მათ აღსრულებას; როგორც დამოუკიდებელი და პროფესიული ინტერესის არ მქონე ორგანო, უზრუნველყოფდა უფლებამოსილი საგამოძიებო, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ფუნქციების მქონე ორგანოების მიერ შესაბამისი საკანონმდებლო პროცედურებით დადგენილი წესით მიმართვის საფუძველზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების, ელექტრონული თვალთვალის

[30] სსსკ-ის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილი, 27.10.2015 მდგომარეობით.
[31] სსსკ-ის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილის ,,ა'' და ,,ბ'' ქვ/პ, 22.03.2017 მდგომარეობით.

ღონისძიებების და სტრატეგიული და ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელებას.[32]

1.3. ფარულ საგამოძიებო მოქმედებას დაქვემდებარებული დანაშაულები

ფარული საგამოძიებო მოქმედებები შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ განზრახ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში(სსსკ-ის 143[3]-ის მე-2 ნაწილის ,,ა'' ქვ/პ) ,ასევე სსსკ-ის 143[3] -ის მე-2 ნაწილის ,,ა'' ქვ/პ-ით ჩამოთვლილი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე: ეს დანაშაულებია :ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება დამამძიმებელი გარემოებების გარეშე; ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება;პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი; სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში; გარყვნილი ქმედება; თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა დამამძიმებელი გარემოებების არსებობის გარეშე; თაღლითობა და გამოძალვა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე; წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, ავტომობილის მიმართ; დიდი ოდენობით ან იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის; ნივთის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით ან არაერთგზის; ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან

[32] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ, <https://info.parliaგარემოებისment.ge/file/1/BillReviewContent/141415?>[ნანახია 13.04.2019].

რეალიზაცია დამამძიმებელი გარემოების გარეშე;ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება დამამძიმებელი გარემოების გარეშე; პროსტიტუციაში ჩაბმა დამამძიმებელი გარემოების გარეშე; პროსტიტუციისთვის ხელშეწყობა, აგრეთვე პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა [33] ; არასრულწლოვნის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში; ძეგლებისა და სხვა კულტურული ფასეულობების საქართველოდან უნებართვო გატანა; კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა; კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება დამამძიმებელი გარემოების გარეშე; კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა;სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის დარღვევა; გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა დამამძიმებელი გარემოების არსებობის გარეშეც და აგრეთვე ისეთი დამამძიმებელი გარემოებით როგორიცაა გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა რამაც გამოიწვია გარემოს დაბინძურება, მოწამვლა ან დასნებოვნება, ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ანდა ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება, აგრეთვე ჩადენილი საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში;მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი ან ტოქსინისადმი მოპყრობის წესის დარღვევა;ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა; წყლის დაბინძურება;ზღვის დაბინძურება;ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ,

[33] აღნიშნული დანაშაული ამ მუხლს დაემატა 2018 წლის 17 მაისს მიღებული კანონის (N2355-IIს) საფუძველზე,იხ.<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4198982?publication=0#DOCUMENT:1>[27.05.2019].

რომელსაც ეს ევალება; ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება;საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის დარღვევა;მიწის გაუვარგისება; წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა; წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე; უკანონო თევზჭერა; უკანონო ნადირობა; საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ადგილსამყოფლის მოშლა; „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობის ცოცხალი ან არაცოცხალი ინდივიდის, ამ სახეობის ნაწილის ან დერივატის არალეგალური ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი ან ზღვიდან ინტროდუქცია; ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა; ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება დამამძიმებელი გარემოების გარეშე; დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა; საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე; გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება[34]; საბოტაჟი დამამძიმებელი გარემოების გარეშე;ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა როგორც დამამძიმებელი გარემოების გარეშე ,ასევე ისეთი მაკვალიფიცირებელი გარემოებებით როგორიცაა: ჯგუფურობა, არაერთგზისობა, ძალადობა ან ძალადობის მუქარა, ან ასეთი დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა; კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება; სამსახურებრივი სიყალბე.[35]

[34] ეს დანაშაული ამ მუხლს დაემატა 2017 წლის 01 ივნისს მიღებული კანონის(N911-IIს) საფუძველზე,იხ.<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3683198#DOCUMENT:1>[27.05.2019] .

[35] სსსკ-ის 143[3]-ის მე-2 ნაწილის ,,ა'' ქვ/პ; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

1.4. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პრინციპი, წესი და ვადები

განსხვავებით სხვა საგამოძიებო მოქმედებებისგან, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დასშვებია მხოლოდ სსსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულებზე.თუ მაგალითად, ჩხრეკის ჩატარება შესაძლებელია როგორც ნაკლებად მძიმე, მძიმე თუ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის (მაგალითად ძარცვის) ფაქტზე,ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მძიმე ან ნაკლებად მძიმე ან/და სსსკ-ის 143[3] მუხლის მე-2 ნსწილის ,,ა'' ქვ/პ-ით გათვალისწინებული დანაშაულების ფაქტზე.[36]

ფარული საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს თუ მისი ჩატარება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად:ა)ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად; ბ)საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;გ) უწესრიგობის პრევენციის მიზნით;დ)დანაშაულის თავიდან ასაცილებლად; ე)ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების დასაცავად;ვ)სხვა პირთა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად (სსსკ-ის 143[2]-ის მე-2 ნაწილი). ფარული საგამოძიებო მოქმედება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ,თუ მისი ჩატარება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და ის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალებაა(სსსკ-ის 143[2]-ის მე-3 ნაწილი). ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფარგლები ლეგიტიმური მიზნის პროპორციული უნდა იყოს (სსსკ-ის 143[2]-ის მე-4 ნაწილი). ნებისმიერი ფარული საგამოძიებო მოქმედება მიზნად ისახავს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვებას ,მაგრამ მხოლოდ ეს არ გამოდგება სასამართლოს მიერ განჩინების გაცემის საფუძვლად,

[36] ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადესქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით,თბილისი, 2015 ,428.

აუცილებელია მხარემ დაასაბუთოს ისიც, რომ სხვა საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედების ჩატარების გზით შეუძებელია არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას მოითხოვს.[37]

ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით. განჩინებას პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, გარდა იმ შემთხვევისა როცა ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტს წარმოადგენს: სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი; მოსამართლე; იმუნიტეტის მქონე პირი.ასეთ დროს საჭიროა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანხმობა(სსსკ-ის 143[3]-ის პირველი და მე-17 ნაწილები).

იმის გამო რომ არ მოხდეს პიროვნების პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევა,პროკურორის შუამდგომლობა ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების თაობაზე უნდა იყოს დასაბუთებული.შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს ,რომ გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან სსსკ-ის 143[3] მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' ქვ/პ ით გათვალისიწინებული დანაშაულის გამო, სახეზე უნდა იყოს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი,რაც გულისხმობს ისეთი ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას,რომელიც დაადასტურებს რომ ფარული საგამოიებო მოქმდების ობიექტს ჩადენილი აქვს ზემოთ აღნიშნული რომელიმე დანაშაული; ან პირი იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს; (სსსკ-ის 143[3] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის ,,ა'' და ,,ბ''

[37]იხ.იქვე ,428-429 .

ქვ/პ)პროკურორმა შუამდგომლობა უნდა დაასაბუთოს მტკიცებულებებით და არა ფაქტების კონსტატაციით.[38]

უნდა საასაბუთოს აგრეთვე,რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და არის დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად – აუცილებელი, მისი მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალება; აგრეთვე უნდა ამტკიცოს ,რომ მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული იქნება გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ის ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს. ბრალმდებელმა შუამდგომლობაში უნდა აისახოს ინფორმაცია იმ საგამოძიებო მოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შუამდგომლობის წარდგენამდე ჩატარდა ამ კოდექსით დადგენილი წესით და რომლითაც დასახული მიზანი ვერ იქნა მიღწეული.(სსსკ-ის 143[3] მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ''; ,,დ'' ქვ/პ და მე-3 ნაწილი).

შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო: სსსკ-ის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების იმ ტერიტორიაზე განხორციელების უზრუნველსაყოფად, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება, ვალდებულია გამოიყენოს კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ან ნახევრად სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა; 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების იმ ტერიტორიაზე განხორციელების უზრუნველსაყოფად, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება,

[38]იქვე ,გვ 434.

ვალდებულია გამოიყენოს კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული, ნახევრად სტაციონარული ან არასტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა.

მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობისა და მისი დასაბუთებისთვის საჭირო, თანდართული მასალის სასამართლოში წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა განიხილავს შუამდგომლობას ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესაბამისი თავითა და სსსკ-ის 112-ე მუხლით დადგენილი წესით.[39] მოსამართლეს შეუძლია შუამდგომლობა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს. მოსამართლე შუამდგომლობას ზეპირი მოსმენით, პროკურორის მონაწილეობით, დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილავს და განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ ან მისი ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სასამართლოში, ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომელთაგან ერთი მიეწოდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს, და ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სასამართლოს მიერ მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. მოსამართლის განჩინების ეგზემპლარები შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს წარედგინება განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით. თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ ან მისი ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ განჩინება მოსამართლემ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ

[39] მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე,მას უფლება აქვს განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩინების გარეშე ჩაატარა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოიტანა, სასამართლოს მიერ ერთი განჩინება (განჩინების მე-4 ეგზემპლარი), რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს (სსსკ-ის 143[3]-ის მე-5 ნაწილი).

სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე მოსამართლის განჩინება შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო იწყებს ამ კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას. ამ ნაწილით გათვალისწინებული ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენების შემთხვევაში. (სსსკ-ის 143[3]-ის მე-5[1] ნაწილი) თუ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოსთვის წარდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინება ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს(სსსკ-ის 143[3]-ის მე-5[2] ნაწილი).

განჩინების გამომტანი სასამართლო პროკურორის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მიმართვის მიღებიდან 12 საათის ვადაში, ან საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოფს მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას ამ კოდექსის 287-ე

მუხლით დადგენილი წესით [40] . თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის ელექტრონული სახით და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების რეკვიზიტებში ან/და სარეზოლუციო ნაწილში მონაცემი ან რეკვიზიტი ერთმანეთს არ ემთხვევა ან თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის ელექტრონული სახით ან/და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს ,სასამართლო ვალდებულია მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრიდან 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოს ამ განჩინების მიწოდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის(სსსკ-ის 143[3]-ის მე-5[6] ნაწილი).

თუ ზედამხედველი მოსამართლისათვის ელექტრონული სახით და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების რეკვიზიტებში ან/და სარეზოლუციო ნაწილში მონაცემი ან რეკვიზიტი ერთმანეთს არ ემთხვევა, ზედამხედველი მოსამართლე ამის თაობაზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით აცნობებს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან/და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ან თუ ზედამხედველი მოსამართლისათვის ელექტრონული სახით ან/და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი ფარული საგამოძიებო

[40] გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს უფლება აქვს, ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით აღმოფხვრას გადაწყვეტილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობა, რაც არ გამოიწვევს მის გაუქმებას ან შეცვლას, კერძოდ:ა) დააზუსტოს დაკავებისა და დაპატიმრების თარიღები, აგრეთვე ვადა, რომელიც ჩაითვალა სასჯელის დანიშვნისას;ბ) შეასწოროს პროცესის მონაწილის პერსონალური მონაცემები;გ) დააზუსტოს და გაანაწილოს საპროცესო ხარჯები;დ) გადაწყვიტოს მტკიცებულებათა საკითხიე) დააზუსტოს ქონებაზე ყადაღის საკითხი;ვ) შეიტანოს სხვა დაზუსტება, რომელიც გავლენას არ მოახდენს სასამართლოს დასკვნაზე მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის ღონისძიების შესახებ

მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს, ზედამხედველი მოსამართლე ამის თაობაზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით აცნობებს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან/და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს(სსსკ-ის 143[3]-ის 5[8]-5[9] ნაწილები).ასეთ დროს სასამართლო ვალდებულია მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრიდან 24 საათის ვადაში უზრუნველყოს ამ განჩინების ზედამხედველი მოსამართლისათვის მიწოდება.(სსსკ-ის 143[3] მუხლის 5[6], 5[8] ,5[9] ნაწილები).

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე [41] სსსკ-ის 143 [1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების (სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა) ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარის ზედამხედველი მოსამართლისათვის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო იწყებს ამ კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას. ამ

[41] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა შემდეგი დანაშაულები: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1]–144[3] მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაული, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში ანდა ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ანდა აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ.

ნაწილით გათვალისწინებული ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა(სსსკ-ის 143[3] მუხლის 5[7] ნაწილი).

ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის დროს მოსამართლის განჩინების გარეშე პროკურორის დადგენილებით.გადაუდებელი აუცილებლობა სახეზეა როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისთვის (გამოძიებისთვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება.პროკურორის დადგენილება უნდა შეიცავდეს კანონით დადგენილ რეკვიზიტებს, ხოლო დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის/ობიექტების, აგრეთვე განსახორციელებელი ფარული საგამოძიებო მოქმედების სახის შესახებ და უნდა განსაზღვრავდეს მოქმედების განხორციელების პერიოდს (მისი დაწყებისა და დასრულების თარიღებისა და დროის მითითებით), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. სსსკ -ის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე ფარული საგამოძიებო მოქმედების (სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან, კომპიუტერული სიტემიდან; გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა) განხორციელების შემთხვევაში დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს აგრეთვე მითითებას ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის/ობიექტების ტექნიკური იდენტიფიკატორის/იდენტიფიკატორების სულ მცირე ერთი შესაბამისი მონაცემის შესახებ. პროკურორი ვალდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა/ტარდება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით

სასამართლოს შუამდგომლობით გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ. შუამდგომლობაში პროკურორმა უნდა დაასაბუთოს როგორც ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების, ისე იმ გარემოებების არსებობა, რომლებმაც განაპირობა ფარული საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებლად ჩატარება/დაწყება. მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობას განიხილავს მისი სასამართლოსთვის წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა, ამ მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესით. [42]შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს, შეესაბამება თუ არა ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს,[43] აუცილებელი იყო თუ არა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარება/დაწყება, და განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ; ბ) მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის და მისი ჩატარების ვადის არაუმეტეს 48 საათამდე გაგრძელების შესახებ. ეს ვადა აითვლება პროკურორის დადგენილებაში მითითებული ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყების დროიდან; გ) ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის, მისი შეწყვეტის, შედეგების გაუქმების და მის შედეგად მოპოვებული მასალის/ინფორმაციის

---

[42] მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე,ზეპირი მოსმენით შუამდგომლობის განხილვა ხდება პროკურორის მონაწილეობით დახურულ სხდომაზე.

[43] მოსამართლემ უნდა შეამოწმოს შამდგომლობაში მითითებულია თუ არა ის დანაშაული,რომელიც ექვემდებარება ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებას,არსებობს თუ არა დასაბუთებული ვარაუდი,რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, პირი იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს,აგრეთვე უნდა შეაფასოს რამდენად იყო ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამოწვეული გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად,შუამდგომლობაში უნდა იყოს მითითებული ისიც,რომ გამოძიებისთვის არსებითი ნიშვნელობის მქონე ინფორმაციის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

განადგურების შესახებ(სსსკ-ის 143[3]-ის მე-6 ნაწილი). გადაწყვეტილების მისაღებად მოსამართლეს შეუძლია უფლებამოსილი ორგანოდან წერილობით გამოითხოვოს გამოთხოვის მომენტისთვის მოპოვებული მასალის ელექტრონული ეგზემპლარი. მასალის გაცნობის შემდეგ მოსამართლე უზრუნველყოფს დადგენილი წესით მის განადგურებას(სსსკ-ის 143[3]-ის 6[1] ნაწილი). გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილებას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, ფარული საგამოძიებო მოქმედების დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 12 საათისა პროკურორი ან პროკურორის დავალებით გამომძიებელი მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარუდგენს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. ამ კოდექსის 143 [1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო იწყებს ამ კოდექსის 143 [1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას. ამ ნაწილით გათვალისწინებული ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა (სსსკ-ის 143[3]-ის 6[2] ნაწილი).

თუ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოსთვის წარდგენილი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილება ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე

სახელმწიფო ორგანო ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს. პროკურორი უზრუნველყოფს დადგენილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას(სსსკ-ის 143[3]-ის 6[3] ნაწილი).

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილებას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, ფარული საგამოძიებო მოქმედების დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 12 საათისა პროკურორი ან პროკურორის დავალებით გამომძიებელი მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარუდგენს ზედამხედველ მოსამართლეს. ამ კოდექსის 143 [1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო იწყებს ამ კოდექსის 143 [1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას. ამ ნაწილით გათვალისწინებული ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა.(143[3] მუხლის 6[4] ნაწილი).

ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად/უკანონოდ ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სასამართლოში, ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ

წარმომადგენელს, რომელთაგან ერთი მიეწოდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს, და ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სასამართლოს მიერ მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. მოსამართლის განჩინების ეგზემპლარები შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს წარედგინება განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით. თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად/უკანონოდ ცნობის შესახებ განჩინება მოსამართლემ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოიტანა, სასამართლოს მიერ ერთი განჩინება (განჩინების მე-4 ეგზემპლარი), რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს(სსსკ-ის 143[3] -ის მე-7 ნაწილი).

თუ ფარული საგამოძიებო მოქმედებით გამოვლინდა სხვა დანაშაულის ნიშნები, რომელზედაც არ მიმდინარეობს გამოძიება, ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არის სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველი, ხოლო ამ ინფორმაციის ახალ საქმეზე დასაშვებ მტკიცებულებად ცნობის საკითხი გადაწყდება ამ კოდექსით დადგენილი ზოგადი წესით(სსსკ-ის 143[3]-ის მე-9 ნაწილი). მოსამართლის განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე თანხმობის თუ უარის თაობაზე უნდა შეიცავდეს კანონით დადგენილ რეკვიზიტებს(სსსკ-ის 143[3] -ის მე-10 და მე-11 ნაწილები).

განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ საჯარო არ არის,ის ძალას კარგავს მოსამართლის მიერ განჩინების მიღებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ ,თუ ამ დროის განმავლობაში არ დაიწყო ფარული

საგამოძიებო მოქმედებები. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება გაიცემა იმ ვადით, რომელიც საჭიროა გამოძიების მიზნის მისაღწევად, მაგრამ არაუმეტეს 1 თვისა. თუ ეს ვადა საკმარისი არ აღმოჩნდება, დასაშვებია მისი გაგრძელება პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლის განჩინებით, არაუმეტეს 2 თვისა. პროკურორის შუამდგომლობაში უნდა აისახოს ინფორმაცია დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მონაცემების შესახებ და მიეთითოს, რის გამო ვერ მოხერხდა გამოძიებისათვის საკმარისი მონაცემების მოპოვება. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შეიძლება კიდევ ერთხელ, არაუმეტეს 3 თვისა გაგრძელდეს საქართველოს გენერალური პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.[44] უნდა აღინიშნოს ის ფაქტი,რომ 143[3]-ის მე-12 ნაწილი არა ერთგვაროვანი განმარტების საშუალებას იძლევა,კერძოდ,ნორმის ვიწრო განმარტებით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო შეიძლება გახანგრძლივდეს არა უმეტეს 3 თვის ვადით,ხოლო ნორმის ფართო განმარტებით არა უმეტეს 6 თვის ვადით. [45] მოსამართლეებთან ზეპირი ინტერვიუების საფუძველზე გაირკვა ,რომ პრაქტიკაში ფარული საგამოძებო მოქმედების მაქსიმალურ ვადა არის 3 თვე.[46]

1.5. ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის უფლებები

ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი არის პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედება(სსსკ-ის მე-3

---

[44] სსსკ-ის 143[3] -ის მე-12 და მე-13 ნაწილები; ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადესქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით,თბილისი, 2015, 438.

[45] ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში(ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით),თბილისი,2018,234.

[46] იხ.იქვე.

მუხლის 31-ე ნაწილი). ფარული საგამოძიებო მოქმედებების თავი ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩნების გასაჩივრება ფარული საგამოძიებო ობიექტის მიერ,მას შემდეგ რაც მისთვის ცნობილი ხდება,რომ მის მიმართ ტარდება ან ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება. იმის მიხედვით რა დროს ხდება განჩინებების გასაჩივრება განსხვავებული წესი მოქმედებს,კერძოდ,თუ კი ინდივიდი შეიტყობს საქმეზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას ,რომ მის განხორციელდა ფარული საგამძიებო მოქმედება,უფლება აქვს განჩინება ერთჯერადად გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 48 საათის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობა ქმნის ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ამ კოდექსით დადგენილი წესით დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველს.სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა საფუძვლად დაედოს ფარული საგამოძიებო ობიექტის მიერ მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებით, შენახვით ან გამჟღავნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნას.[47]

იმ შემთხვევაში,როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი სამართალწარმოების დასრულების შემდგომ შეიტყობს მის მიმართ განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ,მას შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში. ჩატარებული ფარული

[47] სსსკ-ის 143[3-ის] მე-14 ნაწილი; ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადესქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით,თბილისი, 2015,439.

საგამოძიებო მოქმედების სააპელაციო სასამართლოს მიერ უკანონოდ ცნობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ამ კოდექსის 310-ე მუხლის „თ“[48] ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად გამოვლენილ გარემოებად განაჩენის გადასინჯვისათვის, თუ ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.[49] საჩივარში უნდა აღინიშნოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების თავით დადგენილი წესის დარღვევის შესახებ საჩივარი შეიტანება განჩინების გამომტან სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია საჩივარს განიხილავს მისი შეტანიდან არაუგვიანეს 72 საათისა. სააპელაციო სასამართლო შეტყობინებით უზრუნველყოფს მომჩივნის და ბრალდების მხარის მონაწილეობას საჩივრის განხილვაში. მათი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას. საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება და მოთხოვნის შემთხვევაში მომჩივანს და ბრალდების მხარეს გადაეცემა.

ზოგ ქვეყანაში ელექტრონული საშუალებებით თვალთვალის დამთავრების შემდეგ პირს, ვის მიმართაც განხორციელდა თვალთვალი, ატყობინებენ ამის შესახებ.[50] კანადის კანონმდებლობით შეტყობინება აღნიშნულ პირს ეგზავნება 90 დღის ვადაში, ვადის გახანგრძლივება დასაშვებია მოსამართლის თანხმობით იმ შემთხვევაში, თუ არ დამთავრებულა გამოძიება ან თვალთვალის პროცესში გამოიკვეთა სხვა დანაშაული, რომელზეც აუცილებელია თვალთვალის ახალი ნებართვა. შეტყობინების გახანგრძლივების ვადამ არ უნდა გადააჭარბოს 3 წელს. იაპონიაში თვალთვალის ობიექტს უნდა ეცნობოს მის მიმართ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ თვალთვალის დამთავრებიდან

---

[48] ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ერთ-ერთი საფუძველია სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

[49] სსსკ-ის 143[3-ის] მე-14 ნაწილი; ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით,თბილისი, 2015,439.

[50] იგულისხმება, მაგალითად, ეჭვმიტანილის ის მეგობრები და ოჯახის წევრები, რომლებიც არ შედიან თვალთვალისათვის გამიზნულ პირთა ნუსხაში.

30 დღეში, მაგრამ თუ ეს ხელს შეუშლის მიმდინარე გამოძიების დასრულებას, მოსამართლეს უფლება აქვს გაახანგრძლივოს ეს ვადა. ჰონკონგში პირს შეტყობინება ეგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებები არაკანონიერად განხორციელდა.[51]

საქართველოს სსსკ-ის 143[9] მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ,,ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს პირს, რომლის მიმართაც ჩატარდა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება.'' საინტერესოა ამ ჩანაწერში იუგლისხმება მხოლოდ ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი თუ მასთან ერთად მესამე პირიც,რომელსაც არანაირი შეხება არ აქვს დანაშაულთან. თუ მესამე პირის შეტყობინების ვალდებულებაც იგულისხება აქ ,ვფიქრობ,რომ არა ლოგიკურია.მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის მიმართ ხორციელდება ფარული ვიდეო თვალთვალი და კადრებში დაფიქსირებულია ასეულობით ადამიანი, გამოდის რომ უნდა მოხდეს თითოეული მათგანის იდენტიფიცირება და შემდეგ შეტყობინება,რაც რესურსების არა გონივრულ ხარჯვას წარმოადგენს.

1.6. ფარულის საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის საფუძველები

ფარული საგამოძიებო მოქმედება შეწყდება, თუ:

ა) შესრულდება ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანა;

[51] იხ.ხმალაძე მ. ,ელექტრონული საშუალებებით თვალთვალის საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმები საზღვარგარეთის ქვეყნებში ,თბილისი,2013, 5, < https://bit.ly/2ZsYbPf> [15.06.2019].

ბ) დადგინდება გარემოებები, რომლებიც ადასტურებს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანის შესრულება ობიექტურად შეუძლებელია ან ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას გამოძიებისთვის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს;

გ) შეწყდება გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა;

დ) აღარ არსებობს ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი.

თუ გავიდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შეჩერებიდან 3 დღეში არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი, ამ ნაწილში მითითებული ვადის გასვლისთანავე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო წყვეტს ფარულ საგამოძიებო მოქმედებას.

თუ სასამართლომ უკანონოდ ცნო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედება ან ამოიწურა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ დადგენილებაში მითითებული 48-საათიანი ვადა, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო სასამართლოს განჩინების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების 48-საათიანი ვადის ამოწურვისთანავე წყვეტს ფარულ საგამოძიებო მოქმედებას(სსსკ-ის 143^{6} -ე მუხლის მე-2,მე-3 და მე-4 ნაწილები).

1.7. ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრი

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის მიერ მომზადებულ ანგარიშში-

,,სამართალდამცავი ორგანოების და ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების მიერ პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის ძირითადი ასპექტების'' შესახებ ანგარიშში ნათქვამია, რომ დემოკრატიული სახელმწიფოსთვის რეკომენდირებულია ღიაობის, გამჭვირვალობისა და შესაბამისად, მოქალაქეების თავდაჯერებულობის წახალისება მთვარობის მხრიდან კანონიერი ჩარევის სტატისტიკის გამოქვეყნებით. [52] ამგვარად მისასალმებელია ის ფაქტი ,რომ სსსკ-ის 143[10] მუხლი ავალდებულობს უზენაესს სასამართლოს,რომ შეადგინოს ფარული საგამოძიებო მოწმედებების რეესტრი.აღნიშნული მუხლის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრს, რომელშიც აისახება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია, კერძოდ: ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობების და სასამართლოთა მიერ მათზე მიღებული განჩინებების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც არ ეხებოდა პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავდა ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად განადგურდა. საქართველოს უზენაესი სასამართლო ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს გამოაქვეყნოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია.[53]

---

[52] იხ.ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში(ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით),თბილისი,2018,266.
[53] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ.დანართი N1.

1.8. საფრანგეთის სსსკ-ით დარეგულირებული ფარული მიყურადება (შედარებითი-სამართლებრივი ანალიზი)

ისევე როგორც ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც იცნობს ფარული საგამოძიებო მოქმედების ისეთ სახეს როგორიცაა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა,[54] ორივე ქვეყნის კანონმდებლობა ფარულ საგამოძიებო მოქმედებას ავრცელებს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე, ქართულ სსსკ-ში ასევე ვხდებით იმ მუხლების ჩამონათვალს, რომელიც არის ნაკლებად მძიმე დანაშაული, მაგრამ მათზე მაინც ვრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედება,საფრანგეთის სსსკ-ში კი საუბარია იმაზეც, რომ დანაშაული უნდა ითვალისწინებდეს მინიმუმ 2 წლით თავისუფლების აღკვეთას.[55]

საქართველოს და საფრანგეთის საპროცესო კოდექსები სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადების ვადასთან დაკავშირებით განსხვავებულ რეგულირებას გვთავაზობს. ჩვენი კანონმდებლობით ფარული საგამოძიებო მოქმედების ვადაა 1 თვე,რომელიც პროკურორის შუამდგომლობით შესაძლოა გაგრძელდეს არა უმეტეს 2 თვით,ხოლო გენერალური პროკურორის შუამდგომლობით არა უმეტეს 3 თვით, საფრანგეთის სსსკ-ის მიხედვით სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების ვადა არის 4 თვე,რომელიც შესაძლოა მხოლოდ ერთხელ გახანგრძლივდეს იმავე ვადით. [56]

საქართველოს სსსკ-ის მიხედვით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად საჭიროა მოსამართლის განჩინება ან გადაუდებელი აუცილებლობის დროს პროკურორის დადგენილება, ფრანგული

---

[54] საქართველოს სსსკ-ის 143^1-მუხლის პირველი ნაწილის ,,ა'' ქვ/პ; საფრანგეთის სსსკ-ის მე-100 მუხლი,<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/30/France/show>[ნანახია 17.04.2019].

[55] საქართველოს სსსკ-ის 143^3-ის მე-2 ნაწილის ,,ა'' ქვ/პ; საფრანგეთის სსსკ-ის მე-100 მუხლი,<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/30/France/show>[ნანახია 15.04.2019].

[56] საქართველოს სსსკ-ის 143^3-ის მე-12 ნაწილი; საფრანგეთის სსსკ-ის 100^2 მუხლი, <https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/30/France/show>[ნანახია 15.04.2019].

კანონმდებლობის თანახმად ,გამოძიების მოსამართლე გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე გასცემს ბრძანებას ფარულად სატელეფონო კომუნიაციის ჩაწერასა და გადაწერაზე,ასეთი მოქმედებები ტარდება გამოძიების მოსამართლის ზედამხედველობის ქვეშ,ეს ბრძანება გამოიცემა წერილობითი ფორმით და არ საჩივრდება.[57] გამოძების მოსამართლის ბრძანება არ საჩივრდება,ხოლო ჩვენი კანონმდებლობა უშვებს შესაძლებლობას ,რომ მოსამართლის განჩინება გასაჩივრდეს,,კერძოდ,თუ კი ინდივიდი შეიტყობს საქმეზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას ,რომ მის მიმართ განხორციელდა ფარული საგამძიებო მოქმედება,უფლება აქვს განჩინება ერთჯერადად გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 48 საათის განმავლობაში,ხოლო იმ შემთხვევაში,როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი სამართალწარმოების დასრულების შემდგომ შეიტყობს მის მიმართ განხორციელებული ფარული საგამოძებო მოქმედების შესახებ შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია საჩივარს განიხილავს მისი შეტანიდან არაუგვიანეს 72 საათისა(საქართველოს სსსკ-ის 143^{3}-ის მე-14 და მე-15 მუხლები).

საქართველოს სსსკ-ით სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებას უზრუნველყოფს ოპერატიულ ტექნიკური სააგენტო,ხოლო საფრანგეთის საპროცესო კოდექსის თანახმად გამოძიების მოსამართლეს ან მის მიერ დანიშნულ პოლიციის ოფიცერს შეუძლია მოსთხოვოს მომსახურების კვალიფიციურ აგენტს ან ინსტიტუტს ,რომელიც

[57] საქართველოს სსსკ-ის 143^{3}ის პირველი და მე-6 ნაწილები; საფრანგეთის სსსკ-ის მე-100 მუხლი , <https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/30/France/show>[ნანახია 15.04.2019].

განთავსებულია იმ მინისტრის ზედამხედველობის ქვეშ რომელიც პასუხისმგებელია ტელეკომუნიკაციებზე ან ტელეკომუნიკაციის სფეროში დასაქმებულ ოპერატორს ან ტელეკომუნიკაციის მომსახურების უფლებამოსილ გამავრცელებელს ,დააყენოს მოსასმენი მოწყობილობა.[58]

საფრანგეთის სსსკ-ის მიხედვით მოსამართლე ან პოლიციის ოფიცერი აკეთებს ოფიციალურ ჩანაწერს,სადაც აღნიშნულია ფარული მიყურადების დაწყების და დასრულების დრო.ეს ჩანაწერი დალუქულია ოფიციალური ბეჭდით,ხოლო ჩვენი კანონმდებლობით გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ფარული საგამოძებო მოქმედების დროს პროკურორის მიერ შედგენილ დადგენილებაში მიეთითება ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყების და დასრულების თარიღები დროის მითითებით. საფრნაგეთის სსსკ-ის თანახმად გამოძიების მოსამართლე ან პოლიციის ოფიცერი იწერს იმ კორესპონდენციას რომელიც სიმართლის დასადგენად საჭიროა და ის ემაგრება სისხლისამართლის საქმეს.[59]

საფრანგეთის კანონმდებლობა დაუშვებლად მიიჩნევს უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე ბრალდებულის მიერ თავის ადვოკატთან განხორციელებული კორესპონდენციის კონტროლს, ჩვენი სსსკ-ის მიხედვით უდანაშაულობის პრეზუმციაზე დაყრდნობით აკრძალულია ადვოკატთან განხორციელებული მიმოწერის კონტროლი.[60]

ფრანგული კანონმდებლობა დასაშვებად უშვებს ჩანაწერების განადგურებას ,მაშინ როდესაც გადის სისხლის სამართლებრივი დევნის ვადა, [61] ჩვენთან საკითხი სხვაგვარად არის დარეგულირებული,კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, პროკურორის გადაწყვეტილებით, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს

---

[58] საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილის ,,ა'' ქვ/პ; საფრანგეთის სსსკ-ის $100^{3,}$,<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/30/France/show>[ნანახია 15.04.2019].

[59] საქართველოს სსსკ-ის 143^{3}-ის მე- 6 ნაწილი; საფრანგეთის სსსკ-ის 100^{4} და 100^{5} მუხლები, <https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/30/France/show>[ნანახია 15.04.2019].

[60] საქართველოს სსსკ-ის 143^{7}-ის მე-2 და მესამე ნაწილები.

[61] საფრანგეთის სსსკ-ის 100^{6}, <https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/30/France/show>[ნანახია 15.04.2019].

ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ, თუ მას არა აქვს ღირებულება გამოძიებისათვის. ასევე დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს იმ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარდა და, მიუხედავად სასამართლოს მიერ მისი კანონიერად ცნობისა, ბრალდების მხარემ ამ კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით არ წარუდგინა ის მტკიცებულებად საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოს. დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული ის მასალაც, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ და უნდა განადგურდეს. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა, რომელსაც სასამართლო დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობს, განადგურდება საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე განაჩენის გამოტანიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ. ეს მასალა განადგურებამდე სასამართლოს სპეციალურ საცავში ინახება. დაუშვებელია ვინმეს მიერ აღნიშნული მასალის გაცნობა, ასლის გადაღება და გამოყენება, გარდა მისი მხარეთა მიერ საპროცესო უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებისა. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა, რომელიც საქმეს ნივთიერ მტკიცებულებად დაერთვის, ამ კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის[62] თანახმად შეინახება სასამართლოში ამ სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული მასალა დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს(საქართველოს სსსკ-ის 143[8] მუხლის პირველი,მე-2 ,მე-3 ნაწილები).

საფრანგეთის საპროცესო კოდექსი ადგენს იმ პირთა წერს,რომელთა სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებაზე საჭიროა გარკვეულ

[62] ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც არ ნადგურდება, მესაკუთრეს ან მფლობელს არ უბრუნდება ან სახელმწიფოს არ გადაეცემა, ინახება სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

პირთა ინფორმირება,მსგავს მოვლენას იცნობს ასევე ქართული კანონმდებლობა.საფრანგეთის სსსკ-ის მიხედვით პარლამენტის წევრის ან სენატორის სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა აკრძალულია თუ ამის თაობაზე ინფორმირებული არ არის ასამბლეის პრეზიდენტი.აკრძალულია ადვოკატის სამუშაო თუ საცხოვრებელ ადგილას ფარული მიყურადება და ჩაწერა თუ ამის თაობაზე ადვოკატთან ასოციაციის პრეზიდენტი არ არის ინფორმირებული,ასევე დაუშვებელია პროკურორის და მოსამართლის სამუშაო თუ საცხოვრებელ ადგილზე სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა თუ პრეზიდენტი ან სასამართლოს გენერალური პროკურორი,რომლის იურისდიქციაშიც შედის ეს ტერიტორია ,არ იქნებიან ინფორმირებულები.[63] ჩვენი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად კი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მოსამართლის და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განჩინებით, საქართველოს გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[3]-ის მე-17 ნაწილი).

[63] საფრანგეთის სსსკ-ის 100[7], <https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/30/France/show>[ნანახია 15.04.2019].

თავი II. ფარული საგამოძიებო მოქმედების საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებთან

2.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველო,როგორც სამართლებრივი სახელმწიფო, ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.[64]

კონსტიტუციის მე-2 თავითაა დარეგულირებული ადამიანის ძირითადი უფლებები. არსებობს ძირითადი უფლებების სუბიექტური და ობიექტური მნიშვნელობა. [65] სუბიექტური მნიშვნელობა გულისხმობს იმას,რომ ის არის ინდივიდის უფლებები და სახელმწიფოს და პიროვნების ურთიერთობას აწესრიგებს,ხოლო ობიექტური მნიშვნელობა გულისხმობს იმას,რომ პიროვნებისგან დამოუკიდებლად განისაზღვრება სახელმწიფოს დამოკიდებულება მოქალაქეთა მიმართ. [66] ძირითადი უფლებები ბოჭავს საჯარო ხელისუფლების სამივე შტოს, [67] საკანონმდებლო ხელისუფლების შებოჭვა ნიშნავს ,ნორმატიული აქტების გამოცემის ვალდებულებას, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების შესაბამისად,სასამართლო

---

[64] საქართველოს კონსტიტუცია მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი.<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>[ნანახია 24.04.2019].

[65] ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტკარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს.,საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი,თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,თბილისი,2013,13.

[66] იქვე,გვ.14.

[67] იქვე, გვ.28.

და აღმსარულებელი ხელისუფლებების შებოჭვა გულისხმობს ვალდებულებას კანონები შესაბამისად შეუფარდონ ძირითად უფლებებს და ისე განმარტონ.[68]

ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება,რომელიც არ მიეკუთვნება ისეთ უფლებათა კატეგორიას ,რომელში ჩარევაც დაუშვებელია, საქართველოს კონსტიტუცია უშვებს მასში ჩარევას და განსაზღვრავს ჩარევის საფუძვლებს(საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი), ისევე როგორც ისეთი საერთაშორისო აქტები როგორებიცაა: გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.[69]

ადამიანის უფლებებში ჩარევას ადგილი აქვს საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების დროს,განსაკუთრებით მაშინ როდესაც საქმე ეხება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს.ფარული საგამოძიებო მოქმედებები ღრმად იჭრება ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში.

უფლებაში ჩარევის დროს უნდა გაირკვეს არსებობს თუ არა ჩარევის ფორმალური საფუძველი და უნდა დადგინდეს ჩარევის ზღვარი. [70] თანაზომიერების პრინციპის თანახმად ძირითად უფლებებში ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს,მიზნის მისაღწევად შერჩეული საშუალება უნდა იყოს გამოსადეგი,აუცილებელი და პროპორციული.

---

[68] იქვე.

[69] იხ.ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლი; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლი;ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

[70] ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტკარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს.,საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი,თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,თბილისი,2013,22.

2017 წელს გადაწყდა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში უნდა განხორციელებულიყო ცვლილებები, როგორც შინაარსობრივი ,ასევე ტექნიკური თვალსაზრისით. [71] საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის ხარვეზების აღმოსაფხვრელად და კონსტიტუციის

დახვეწილი რედაქციის შესამუშავებლად, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. კომისიას პარლამენტმა დაუსახა ორი ძირითადი მიზანი:

ა) კონსტიტუციის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან;

ბ) ქვეყნის გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარების ინტერესის შესაბამისი კონსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბება.[72]

კონსტიტუციის ახალი რედაქცია ამოქმედდა 2018 წელს, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ ფიცის დადებისთანავე.[73]

ცვლილებები შეეხო 2018 წლამდე მოქმედი რედაქციის მე-16 და მე-20 მუხლებსაც. მე-16 მუხლით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება დარეგულირებულია დღევანდელი რედაქციის მე-12 მუხლით, მაგრამ მისი შინაარსი უცვლელი სახითაა გადმოტანილი, კერძოდ, ,, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.'' მე-20 მუხლით დაცული უფლება კი გარანტირებულია დღეს მოქმედი კონსტიტუციის მე-15 მუხლით.[74] აღნიშნული მუხლის მიხედვით: 1. ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ

---

[71] იხ,პარლმანეტის განმარტებითი ბარათი საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/149115> [05.05.2019],1.

[72] იქვე.

[73] იხ.საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/161170>[05.05.2019].

[74] იხ.საქართველოს კონსტიტუციის მე-12, მე-15 მუხლი,<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>[05.05.2019]; საქართველოს კონსტიტუციის მე-16, მე-20 მუხლები, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=34> [05.05.2019].

საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

ძველი რედაქციისგან განსხვავებით ეს მუხლი დაცულ უფლებათა ჩამონათვალში ცალკე არ გამოყოფს სატელეფონო საუბრის ხელშეუხებლობას,არამედ განაზოგადებს მას,ვინაიდან მე-15 მუხლის მე-2 ნაწილში არსებული ტერმინი კომუნიკაცია მოიცავს მას. ,,პირადი სივრცე და კომუნიკაცია სრულად მოიცავს ადამიანის თავისუფლების იმ ასპექტებს,რომლებიც საჭიროებს დაცვას კონსტიტუციის მოცემული მუხლით”.[75] ძველი რედაქციისგან განსხვავებით ახალი რედაქციის მე-15 მუხლში დაკონკრეტებულია დაცულ სფეროში ჩარევის ლეგიტიმური მიზნები,კერძოდ, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ან სხვათა უფლებების დაცვა,რამაც უფლების დაცვის კოსტიტუციური სტანდარტის ამაღლება უზრუნველყო.[76] ახალი რედაქციით დადგენილია ,რომ მე-15 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა დასაშვებია კანონის შესაბამისად მოსამართლის განჩნების საფუძველზე ან მის გარეშე

[75] ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში(ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით),თბილისი,2018,201.
[76] იქვე.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. რაც შეეხება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევას უნდა აღინიშნის, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციით ,უკვე კონსტიტუციის დონეზე დგინდება გადაუდებელი აუცილებლობისას შეზღუდვის კანონიერების post faqtum სასამართლო გადამოწმების მოთხოვნა.[77]

კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება,ქვეყნის ძირითადი კანონი უშვებს მასში ჩარევას და განსაზღვრავს ჩარევის საფუძვლებს,[78] ისევე როგორც ისეთი საერთაშორისო აქტები როგორებიცაა: გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.[79]

ადამიანის უფლებებში ჩარევას ადგილი აქვს საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების დროს,განსაკუთრებით მაშინ როდესაც საქმე ეხება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს.ფარული საგამოძიებო მოქმედებები ღრმად იჭრება ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში.

უფლებაში ჩარევის დროს უნდა გაირკვეს არსებობს თუ არა ჩარევის ფორმალური საფუძველი და უნდა დადგინდეს ჩარევის ზღვარი. [80] თანაზომიერების პრინციპის თანახმად ძირითად უფლებებში ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს,მიზნის მისაღწევად შერჩეული საშუალება უნდა იყოს გამოსადეგი,აუცილებელი და პროპორციული.[81]

---

[77] იქვე,202.
[78] საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი.
[79] იხ.ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლი; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლი;ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.
[80] ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტკარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს.,საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი,თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,თბილისი,2013,22.
[81] იქვე,გვ.24-25.

2.2. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. ,, ადამიანის პირადი ცხოვრების ძირითადი უფლება არის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შინაარსობრივი კომპონენტი, რომელიც მოიცავს ინდივიდის ცხოვრების ინტიმურ, კერძო და სოციალურ სფეროებს.[82]მე-15 მუხლით აგრეთვე დაცულია ადამიანის პირადი და ოჯახური სივრცის,აგრეთვე კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები.ეს უფლებები უნდა განვიხილოთ ძირითადი უფლების მიმართ სპეციალურ უფლებებად.[83]

პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობის უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული პირადი ცხოვრების უფლებასთან. ,,პირადი ჩანაწერი არის ინდივიდის მიერ კალმით ან ბეჭდური ფორმით შესრულებული ან ტექნიკური საშუალებით ჩაწერილი ინფორმაცია რომელიც განეკუთვნება მისი ან სხვა ინდივიდის პირადი ან პროფესიული ცხოვრების სფეროს და ინდივიდის მიერ არ არის მოაზრებული საჯარო ხელისუფლებისთვის ან ადამიანთა შედარებით ფართო წრისთვის გასაზიარებლად.''[84]

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულია მიმოწერის ხელშეუხებლობის უფლებაც.მიმოწერა განიმარტება როგორც ორ ან მეტ პირს შორის დამყარებული კომუნიკაცია დახურული კონვერტით გაგზავნილი წერილის, ღია ბარათის, დეპეშის, ბანდეროლის, პაკეტის და სხვა საფოსტო თუ არასაფოსტო გზავნილის საშუალებით.[85]

მე-15 მუხლით დაცულია აგრეთვე სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით საუბრისა და ტექნიკური საშუალებებით

---

[82] იხ.იქვე, 180.

[83] იხ.საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი; [83] ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტკარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს.,საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი,თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,თბილისი,2013,180.

[84] იქვე.

[85] იქვე.

მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის უფლება.,,საუბარი სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებით არის ორი ან მეტი პირის ვერბალური კომუნიკაცია ტელეფონის, რადიომიმღების ან ვერბალური კომუნიკაციისთვის განკუთვნილი ინტერნეტპროგრამების გამოყენებით, ხოლო ტექნიკური საშუალებებით მიღებულ შეტყობინებებში იგულისხმება წერილობითი კომუნიკაცია ტელეფონის, ტელეფაქსის, ტელეგრამის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის, სხვა შესაბამისი ინტერნეტპროგრამების, პეიჯერის და სხვა ანალოგიური ტექნიკური ინსტრუმენტების გამოყენებით.''[86]

მე-15 მუხლი იცავს აგრეთვე საცხოვრებელი ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლებასაც.საცხოვრებელი ბინა და სხვა მფლობელობა არის ნებისმიერი უძრავი ან საცხოვრებლად განკუთვნილი მოძრავი ნივთი, ქონება, რომელიც საკუთრებაში ან მუდმივ თუ დროებით მფლობელობაში ან სარგებლობაში აქვს გადაცემული ინდივიდს.[87]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ ,,პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლებაა... პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში პირები უზრუნველყოფილი არიან ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის, სახელის, პირადი მონაცემების, საცხოვრებლის, ოჯახისა და სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოების, მიმოწერის და სატელეფონო საუბრის საიდუმლოების ხელშეუხებლობის უფლებებით. განაპირობებს რა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსს, თითოეული მათგანი, იმავდროულად, დამოუკიდებელი შინაარსის მატარებელია.'' [88] აგრეთვე სასამართლომ განმარტა,რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება,ერთი

---

[86] იქვე,185.
[87] იქვე,186.
[88] იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე ,, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე _ ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ'',II-4.

მხრივ,გულისხმობს პირის შესაძლებლობას დამოუკიდებლად წარმართოს თავისი კერძო ცხოვრება და მეორე მხრივ,დაცული იყოს მის კერძო სფეროში როგორც სახელმწიფოს ასევე ნებისმიერი პირების ჩარევისგან.[89]

,, პირადი ცხოვრების კონსტიტუციური უფლება თავისუფლების კონცეფციის განუყოფელს ნაწილს წარმოადგენს. ეს არის პიროვნების უფლება მისი შეხედულებით ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან. პირადი ცხოვრების უფლება არის თითოეული ინდივიდის დამოუკიდებელი განვითარების საფუძველი. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის ინდივიდის ავტონომიურობის, დამოუკიდებელი განვითარების, მისი ღირსების დაცვის წინაპირობა.“[90]

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ,,უფლების ფარგლებში პირები უზრუნველყოფილი არიან ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის,სახელის,პირადი მონაცემების,საცხოვრებლის,ოჯახისა და სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოების,მიმოწერია და სატელეფონო საუბრის ხელშეუხებლობი და სხვათა უფლებებით’’.[91]

საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და თამარ ჩუგოშვილი პარლამანენტის წინააღმდეგ - აღნიშნავს,რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ადამიანის თვითმყოფადობის, თავისუფლებისა და თვით რეალიზაციისთვის. ,,პირადი ცხოვრებით დაცულია პირების კერძო სფერო (სივრცე). აქ იგულისხმება როგორც კონკრეტული ტერიტორია, ადგილი (მაგალითად,

---

[89] იქვე.

[90] იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები–დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ,“ II-4.

[91] იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე ,, ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია’’ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ’’,II-4.

საცხოვრებელი სახლი, პირადი ავტომანქანა ან სხვა პირადი მფლობელობა), ისე განსაზღვრულ პირთა წრე, ვისთანაც პირს სურს კომუნიკაცია, ვისაც ის ირჩევს კონკრეტული ურთიერთობისათვის, ასევე საკითხები, რომელთა ანონიმურობა და ხელშეუხებლობა ან პირთა მხოლოდ კონკრეტულ წრეში განსაჯაროებაც სურს პირს.''[92]

2.2.1. დაცულ სფეროში ჩარევის კონსტიტუციური საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის თანახმად ,ამ მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.[93]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ არის აბსოლუტური და ის შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად,თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამასთანავე აუცილებელია, რომ უფლებაში ჩარევა მოხდეს ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი და პროპორციული გზით.[94]

სასამართლომ აგრეთვე განაცხადა,რომ „ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება ადამიანთა უფლებების ეფექტურ დაცვას, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულებაა. ზუსტად ამ საჯარო

---

[92] იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბერის №1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე ,, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ'',II-3.
[93] იხ.საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები.
[94] იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბერის №1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე ,, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ'',II-8.

ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურება დასახელებული უფლების შეზღუდვა“ .[95]

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას წარმოადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედებები.სსსკ-ის 143[2] მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, როდესაც არის ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება ნებადართული, კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს თუ მისი ჩატარება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად:ა)ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად; ბ)საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;გ) უწესრიგობის პრევენციის მიზნით;დ)დანაშაულის თავიდან ასაცილებლად; ე)ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების დასაცავად;ვ)სხვა პირთა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად.

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტა,რომ მხოლოდ საჯარო ინტერესის არსებობა არ ამართლებს პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევას,თვალსაჩინო უნდა იყოს ამ ინტერესის დაცვის აუცილებლობა.,, უფლებაში ჩარევა, მისი ფარული ხასიათიდან გამომდინარე, აჩენს უფლებამოსილების გადამეტების, ბოროტად გამოყენების რისკს, რასაც შესაძლოა მავნე შედეგები მოჰყვეს მთლიანად დემოკრატიული საზოგადოებისთვის. შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში, უფლებაში ჩარევა შეიძლება იყოს გამართლებული მხოლოდ მაშინ, თუ კანონმდებლობა უზრუნველყოფილი იქნება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის ეფექტური მექანიზმებით. სახელმწიფო, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს აყენებს ფარული კონტროლის რისკის ქვეშ, არ უნდა სარგებლობდეს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუბალანსებელმა

[95] იქვე, II-9.

კანონმდებლობამ, დემოკრატიის დაცვის მოტივით, შესაძლოა თავად დემოკრატია გახადოს ძალზე მყიფე და სათუო".[96]

კონსტიტუციის მიხედვით პირადი ცხოვრების შეზღუდვა დაიშვება როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებით ასევე მის გარეშეც,როდესაც სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა(საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი).

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ასევე აღნიშნა,რომ ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწფოს ვალდებულებაა, მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა აღიკვეთოს სერიოზული საფრთხეები, რომლებმაც შეიძლება დემოკრატიული ინსტიტუტების დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. ამიტომ ამ საფრთხეებთან ბრძოლისთვის, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს, მათ შორის იმის შესაძლებლობაც, რომ განახორციელოს ფარული კონტროლი, თვალთვალი პირებზე (პირთა ჯგუფზე) რომელთაგანაც ეს საფრთხეები მომდინარეობს. ასეთ დროს, ზუსტად უფლებაში ჩარევის ფარული ხასიათი უზრუნველყოფს საჯარო ინტერესის დაცვის ეფექტურობას.[97]

2.2.2. დაცულ სფეროში ჩარევის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით გათვალისწინებული საფუძვლები

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით დარეგულირებულია პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. კონვენცია უშვებს ამ უფლებებში ჩარევას როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური

[96] იხ.იქვე, II-11.

[97] იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე ,, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე _ ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ",II-9.

კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

პირადი ცხოვრების პატივისცემის კონცეფცია მოიცავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ,ისევე როგორც ურთიერთობების დამყარებას სხვებთან.[98] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს,რომ პირადი ცხოვრების ცნება არის ფართო და არ შეიძლება ექვემდებარებოდეს ამომწურავ განმარტებას.[99]

განსაკუთრებით საინტერესოა თუ რა შემთხვევაში ითვლება გამართლებულად ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა?ღონისძიება,რომლითაც ხდება მე-8 მუხლის შეზღუდვა იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული თუ განხორციელდება კანონის შესაბამისად. იმისათვის,რომ ჩაითვალოს ,,კანონის შესაბამისად'' , შეზღუდვას უნდა გააჩნდეს სამართლებრივი საფუძველი, კანონი უნდა იყოს საკმარისად ზუსტი და საჯარო ხელისუფლებას არ უნდა მისცეს თვითნებობის შესაძლებლობა.[100]

საქმეში Malone v. the United Kingdom სასამართლომ დაადგინა,რომ არ არსებობდა საკმარისი სიზუსტე გამოყენების სფეროსთან ან მოქმედების ხასიათთან დაკავშირებით, რომელშიც ხელისუფლების ორგანოების დისკრეცია საიდუმლოდ მოუსმინონ სატელეფონო საუბრებს იყო განხორციელებული: გამომდინარე იქიდან, რომ ეს იყო ადმინისტრაციული პორაქტიკა შესაძლებელი იყო მისი შეცვლა ნებისმიერ დროს და წარმოადგენდა მე-8 მუხლის დარღვევას.[101]

---

[98] კილკელი უ.,პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება,ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება,გზამკვლევი,ლ.ჭელიძის,ბ. ბოხაშვილის,თ. მამუკელაშვილის თარგმანი,ლ. ჭელიძის რედაქტორობით,ევროპის საბჭო,2005,14.

[99] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 25 მარტის განჩინება საქმეზე CASE OF COSTELLO-ROBERTS v. THE UNITED KINGDOM პარ 36.

[100] კილკელი უ.,პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება,ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება,გზამკვლევი,ლ.ჭელიძის,ბ. ბოხაშვილის,თ. მამუკელაშვილის თარგმანი,ლ. ჭელიძის რედაქტორობით,ევროპის საბჭო,2005,79.

[101] იქვე,80.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა,რომ უფლებაში ჩარევა უნდა იყოს კანონის შესაბამისი,საგამოძიებო მოქმედება უნდა იყოს შიდა კანონმდებლობით დარეგულირებული ,ის უნდა იყოს განჭვრეტადი და ხელმისაწვდომი პიროვნებისთვის. [102] საქმეში სინდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ სასამართლომ განმარტა ,თუ რას გულისხმობს ტერმინი ,,განჭვრეტა'',მან განაცხადა ,რომ კანონი უნდა იყოს ფორმულირებული საკმარისი სიცხადით,ისე რომ მოქალაქეს შეეძლოს თავისი ქცევის შესაბამისობაში მოყვანა კანონის მოთხოვნასთან და უნდა იძლეოდეს იმ შედეგების განჭვრეტის შესაძლებლობას რაც პიროვნების ქცევას შეიძლება მოჰყვეს.[103]

ადამიანის უფლებათა ეროპულმა სასამართლომ საქმეში „კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ თავი მოუყარა „წინასწარ განჭვრეტადობის“ ცნებას ფარული მიყურადების სფეროში: „93... საიდუმლო მიყურდების წინასწარ განჭვრეტადობა ისეთ ღონისძიებათა კონტექსტში, როგორიცაა ფარული მიყურადება, არ შეიძლება ნიშნავდეს, რომ ადამიანს უნდა შეეძლოს წინასწარ განჭვრიტოს ის, თუ როდის შეიძლება ხელისუფლებამ თვალყური ადევნოს მის კომუნიკაციებს, რათა შემდეგ შესაბამისად მოიქცეს (იხ. მათ შორის, ლეანდერი შვედეთის წინააღმდეგ, 1987 წლის 26 აგვისტოს განაჩენი, სერია ა, ნომერი 116, გვ. 23, პარ 51). მაგრამ, როდესაც ფარული მიყურადების განმახორციელებელი პირის საქმიანობა საიდუმლოდ ხორციელდება, თვითნებური ქმედების რისკი აშკარაა (იხ. მათ შორის, მალოუნი, გვ. 32, პარ. 67, ჰუვიგი, გვ. 54-55, პარ. 29 და როტარუ). ამიტომ, აუცილებელია არსებობდეს ნათელი და დეტალური წესები ფარული მიყურადების შესახებ. მითუმეტეს, რომ ამ მიზნისათვის გამოსაყენებელი ტექნოლოგია მუდმივად ვითარდება. (იხ. კოპი შვეიცარიის წინააღმდეგ, 1998 წლის 25 მარტის განაჩენი, ანგარიშები 1998-2. გვ. 542-43, პარ. 46). ქვეყნის შიდა კანონი საკმარისად ნათელი უნდა

[102] იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 04 მაისის განჩინება საქმეზე **ROTARU v. ROMANIA** პარ 52.

[103] იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1979 წლის 26 აპრილის განჩინება საქმეზე Sunday Times v. the United Kingdom პარ 49.

იყოს და მოქალაქეებს ადექვატურად აუხსნას ის გარემოებები და პირობები, რომლებშიც სახელმწიფო ხელისუფლებას უფლება აქვს, ეს ღონისძიებების განახორციელოს (იხ. მალოუნი, იქვე; კოპი გვ. 541, პარ. 64, ჰუვიგი. გვ 54-55, პარ. 29 და ვალენსუელა კონტრერასი, იქვე)''.[104] კანონში განსაზღვრული უნდა იყოს კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოსთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ჩარჩოები და მისი განხორციელების მეთოდები, რათა პიროვნება საკმარისად იყოს დაცული სახელმწიფოს მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან.[105]

2.3. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შენახვისა და განადგურების წესი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ავალდებულებს ფარული საგამოძიებო ოქმედებების ჩამტარებელ ორგანოს და შესაბამის საგამძიებო ორგანოს სათანადოდ დაიცვას და აღრიცხოს ფარული საგამძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია,(სსსკ-ის 143[5]-ის პირველი ნაწილი)კერძოდ ფარული საგამოძიებო მოქმედების სახე; ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებისა და დასრულების დრო; ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი; ამ კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა"–„გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას – ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის ტექნიკური იდენტიფიკატორი; მოსამართლის განჩინების ან/და პროკურორის მოტივირებული დადგენილების რეკვიზიტები(სსსკ-ის 143[5]-ის მე-2 ნაწილი).[106]

---

[104] იხ.საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, ფარული მიყურადების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შეფასება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის სტანდარტების მიხედვით,გვ.3, < https://bit.ly/2Wo07eQ > [04.05.2019],

[105] იქვე.

[106] ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით,თბილისი, 2015 ,441.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში თანაზომირების პრინციპის დამკვიდრება ხდება აგრეთვე ფარული საგამძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის და მასალის განადგურებითაც. ამასტან დაკავშირებით პროფესორი ალბერხტი შენიშნავს, რომ მოპოვებული მასალის განადგურებისა და წაშლისთვის გათვალისიწებული ვადები იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული ,თუ რამდენად მართლზომიერად არის ისინი მოპოვებული ან რამდენად არის ისინი საჭირო შემდგომი საპროცესო მოქმედებისთვის[107].

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ კანონმდებლობა დეტალურად უნდა აღწერდეს დაკვირვების შედეგად მიღებულ მონაცემთა განადგურების პროცედურას. საქმეში „ვებერი და სარავია გერმანიის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ შესაბამისი პროცედურა საკმარისად დეტალურად იყო გაწერილი და უწყება, რომელიც ინახავდა მონაცემებს, ვალდებული იყო ყოველ ექვს თვეში ერთხელ გადაემოწმებინა, ჯერ კიდევ იყო თუ არა აუცილებელი მონაცემების შენახვა იმ მიზნის მიაღწევად რა მიზნითაც მოხდა მათი მოპოვება თუ გადაცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში მონაცემები უნდა განადგურებულიყო, წაშლილიყო, ან სულ მცირე შეზღუდულიყო მათზე წვდომა.[108]

სსსკ-ის 143[8] მუხლით გათვალისწინებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/მასალის შენახვის და განადგურების წესი.მოპოვებული ინფორმაციის/მასალის დიფერენცირება ხდება შემდეგი სახით: 1.ინფორმაცია,რომელიც გამოძიებისთვის არ არის ღირებული; 2.პროკურორმა არ წარადგინა როგორც მტკიცებულება საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე; 3. არ ეხება პირის დანაშაულებრივ

[107] იხ. ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში(ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით),თბილისი,2018,261.
[108] იხ.საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, ფარული მიყურადების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შეფასება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის სტანდარტების მიხედვით,გვ.15, https://bit.ly/2Wo07eQ .

საქმიანობას; 4.სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად სცნო; 5.სისხლის სამართლის საქმეს ერთვის ნივთიერ მტკიცებულებად.

1.ინფორმაციას,რომელსაც ღირებულება არ გააჩნია-ასეთი ინფორმაციის განადგურების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი და უნდა განადგურდეს დაუყოვნებლივ ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდგომ(სსსკ-ის 143[8] მუხლის პირველი ნაწილი).

2.ინფორმაცია,რომელიც პროკურორმა არ წარადგინა არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებად-ასეთი ინფორმაციის განადგურების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი და უნდა განადგურდეს დაუყოვნებლივ (შემდგომ(სსსკ-ის 143[8] მუხლის პირველი ნაწილი)

3.ინფრმაცია,რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას-ამ კატეგორიას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც ოპერატიულ-სამძებრო სქმიანობის შედეგად იქნა მოპოვებული, თუმცა შემხებლობა არ აქვს პირის დანაშაულებრივ საქმიანობაასთან და სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ ცნობებს შეიცავს. ასეთი ინფორმაციის განადგურების გადაწყვეტილება პროკურორმა უნდა მიიღოს დაუყოვნბლივ(შემდგომ(სსსკ-ის 143[8] მუხლის პირველი ნაწილი).

4. ინფორაცია, რომელიც სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად სცნო-ამგვარი ინფორმაციის განადგურების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო დაუყოვნებლივ საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე განაჩენის გამოტანიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, ეს მასალა განადგურებამდე სასამართლოს სპეციალურ საცავში ინახება. დაუშვებელია ვინმეს მიერ აღნიშნული მასალის გაცნობა, ასლის გადაღება და გამოყენება, გარდა მისი მხარეთა მიერ საპროცესო უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენბისა შემდგომ (სსსკ-ის 143[8] მუხლის მე-2 ნაწილი).

5.ინფორმაცია,რომელიც სისხლის სამართლის საქმეს ნივთიერ მტკიცებულებად დაერთვის-ასეთი ინფორმაცია ინახება სასამართლოში ამ

სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული მასალა დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს. ინფორმაციის განადგურების გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე. განადგურებამდე ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის სათანადოდ დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება იმ სასამართლოს ადმინისტრაციას, სადაც განადგურებამდე ინახებოდა ეს მასალა(სსსკ-ის 143[8] მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები).[109]

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურებაზე გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე ან პროკურორი.თუ ინფორმაცია დაუშვებელ მტკიცებულებად იქნა ცნობილი ან დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს ნივთიერ მტკიცებულებად- გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე,ხოლო სხვა შემთხვევებში - პროკურორი. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას ანადგურებს შესაბამისი საქმის გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი ან სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი ან მათი ზემდგომი პროკურორი, იმ მოსამართლის ან იმ სასამართლოს მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ. [110] ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ შესაბამისი პროკურორისა და მოსამართლის ხელმოწერებით დადასტურებული ოქმი გადაეცემა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, ხოლო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე – ზედამხედველ

[109] იხ.ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით,თბილისი, 2015,443-444.
[110] იხ.იქვე,444-445.

მოსამართლეს და აისახება ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრში (სსსკ-ის 143[8] მუხლის მე-5 ნაწილი). იმ ინფორმაციას, რომლის განადგურებაც შედის მოსამართლისკომპეტენციაში, ანადგურებს ის მოსამართლე ან იმ სასამართლოს მოსამართლე, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ (სსსკ-ის 143[8] მუხლის მე-6 ნაწილი).

თავი III. საკონსტიტუციო სასამართლოს 14.04.2016 წლის N 1/1/625 გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები

3.1. საკონსტიტუციო სასამართლოს 14.04.2016 წლის N 1/1/625 გადაწყვეტილება

2015 წლის 31 მარტს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამოქმედდა ნორმები,რომელიც ითვალისწინებდა ორ ეტაპიანი ელექტრონული სისტემის დაფუძნებას.[111] ორ ეტაპიანი ელექტრონული სისტემა გულისხმობდა ტექნიკურ და პროგრამულ მოქმედებათა ერთობლიობას,რაც გამორიცხავდა ფარული მიყურადების დაწყებას სასამართლოს განჩინებასთან ერთად პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე.[112] თუმცაღა ამ სისტემას გამოუჩნდენ მოწინააღმდეგეები და თვლიდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში ინსპექტორი იქცეოდა პროცესის აღმასრულებლად და მაკონტროლებლის ფუნციების განხორციელებისას არ იქნებოდა ნეიტრალური, ამასთან, არსებობდა პოზიციაც იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება ვერ იწყებოდა ინსპექტორის თანხმობის გარეშე, ამ მხრივ, იგი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას აფერხებდა, რადგან ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი პროკურორის დადგენილებასთან ერთად, სასამართლოს განჩინებაა.[113] 2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში სახალხო დამცველმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა

---

[111] იხ.საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ , 332[3] მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2593029?publication=0[21.05.2019].

[112] იხ. სსსკ-ის 2017 წლის 22 მარტამდე მოქმედი მე-3 მუხლის 32-ე ნაწილი,,<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=71>[21.05.2019].

[113] იხ.საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერი I,92,< https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960?publication=0> [21.05.2019].

შეიტანეს სარჩელი,რითაც სხვა მუხლებთან ერთად ითხოვდნენ 143^3 მუხლის მე-4 ნაწილის შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან და მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.[114] 143^3 მე-4 ნაწილის თანახმად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ სსსკ-ის 143^1 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უზრუნველსაყოფად კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი იყენებდა კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, მეილსერვერებიდან, ბაზებიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკურ შესაძლებლობას, აგრეთვე კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან განათავსებდა და ამონტაჟებდა სათანადო აპარატურას და პროგრამული უზრუნველყოფის მოწყობილობებს.[115] საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა აღნიშნული სარჩელი და არაკონსტიტუციურად სცნო სსსკ-ის 143^3 მუხლის მე-4 ნაწილიც და მე-3 მუხლის 31-ე ნაწილიც,რაც გულისხმობდა ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის არსებობას.[116] სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტექნიკური წვდომა სატელეკომუნიკაციო ოპერატორების

---

[114] იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება საქმეზე -საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[115] იხ.სსსკ-ის 2017 წლამდე არსებული რედაქციაhttps://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=64>,[21.05.2019].

[116] იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება საქმეზე -საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,III,პ.9.

ქსელებთან, რაც განაპირობებდა კომუნიკაციის მონცემთა შეგროვების და მონიტორინგის შეუზღუდავ შესაძლებლობას.[117] 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა,რომ ,, უფლების დარღვევის რისკები თავისთავად იზრდება, როდესაც ინფორმაციის რეალურ დროში მოსაპოვებლად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (ან გამოძიების უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანო) იმავდროულად ფლობს და ადმინისტრირებას უწევს ტექნიკურ საშუალებებს, განათავსებს შესაბამის აპარატურას უშუალოდ საკომუნიკაციო არხთან/სერვისის მიმწოდებელთან, რაც საბოლოო ჯამში მას პირთა განუსაზღვრელი წრის მოსმენის შესაძლებლობას აძლევს. ასეთ პირობებში სახელმწიფოს განსაკუთრებით მოეთხოვება პროცესის დამაჯერებელი გამჭვირვალობისა და კონტროლის რეალურად ეფექტური მექანიზმების დემონსტრირება, რომელთა არარსებობა ან არასაკმარისობა სწორედ სახელმწიფოს წარმოაჩენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისთვის მთავარ საფრთხედ, უფლების დარღვევის წყაროდ.''[118] ეს ჩანაწერი არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული ისე,თითქოს ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის საგამოძიებო ორგანოსათვის მინიჭება თავისთავად არაკონსტიტუციურია, თუ ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების შესაძლებლობა საგამოძიებო ორგანოს ექნება, სასამართლო მიუთითებს, რომ „ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება როგორც შიდა, ისე გარე კონტროლის ეფექტური, ქმედითი, საკმარისი და, რაც მთავარია,

[117] ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში(ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით),თბილისი,2018,245.

[118] იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება საქმეზე -საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,II,პ.53.

გამჭვირვალე ბერკეტების, მექანიზმების, გარანტიების არსებობა.'' [119] სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა,რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე ROMAN ZAKHAROV v. RUSSIA, მიუთითა: „სასამართლო აღნიშნავს, რომ მეთოდი, რომლითაც მოქმედებს ფარული მიყურადების სისტემა ... უსაფრთხოების სამსახურებსა და პოლიციას ანიჭებს ტექნიკურ შესაძლებლობას, გვერდი აუარონ ავტორიზაციის პროცედურას და კომუნიკაციის საშუალებებზე წვდომა განახორციელონ წინასწარი სასამართლო ნებართვის გარეშე. მართალია, როგორიც არ უნდა იყოს სისტემა, ვერასოდეს გამოირიცხება სრულად დაუდევარი, არაკეთილსინდისიერი ან „გადაჭარბებულად მოტივირებული" მოხელის მიერ არასწორი ქმედების განხორციელების შესაძლებლობა. თუმცა სასამართლო მიიჩნევს, რომ ... სისტემა, რომელიც უსაფრთხოების სამსახურებსა და პოლიციას შესაძლებლობას აძლევს, კომუნიკაციის პროვაიდერებისათვის ან სხვა უფლებამოსილი პირებისავის შესაბამისი ნებართვის წარდგენის გარეშე, უშუალოდ ჰქონდეთ წვდომა ნებისმიერი მოქალაქის კომუნიკაციის საშუალებებზე, განსაკუთრებით მიდრეკილია უფლების ბოროტად გამოყენებისკენ.“[120]

საკონსტიტუციო სასამართლომ არაეფექტურად მიიჩნია პერსონალურ მონაცეთა დაცვის ინსპექტორის კონტროლის მექანიზმები, ვინაიდან არ გამოირიცხებოდა მისი გვერდის ავლით ფარული სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადება,რადგან ისნპექტორი თახმობას აძლევდა მხოლოდ მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემის აქტივაციაზე,შესაბამისად ინსპექტორს არ ჰქონდა უფლება

[119] იხ.საკონსტიტუციო სასამართლოს განწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერი II,18, < https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960?publication=0 > [21.05.2019].

[120] იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება საქმეზე -საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,II,68.

გააეკონტროლებინა სხვა სათანადო აპარატურითა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით სატელეფონო მოსმენები.[121] ორ ეტაპიანი ელექტრონული სისტემის დამკვიდრება მიზნად ისახვდა ,იმას რომ ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე არ მომხდარიყო სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება,მაგრამ პრაქტიკაში არ აღმოჩნდა ეფექტური და დაგინდა რომ ეს სიsტემა ეფექტური შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ინსპექტორისთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით, მაგრამ ნამდვილად ვერ უზრუნველყოფდა აბსოლუტურად ყველა სატელეფონო მიყურადების მხოლოდ ინსპექტორის ელექტრონული თანხმობით განხორციელებას. [122] ინსპექტორი ელექტრონულ თანხმობას აძლევდა მხოლოდ მასთან მიწოდებულ ინფორმაციაზე, ისევე, როგორც მხოლოდ ასეთ ინფორმაციაზე ახდენდა შემდგ კონტროლს, თუმცა ეს სქემა, სულ მცირე, ტექნიკურად ვერ გამორიცხავდა, ინსპექტორის მიღმა უფლებამოსილი ორგანოს მოქმედების შესაძლებლობას. [123] ინსპექტორს ჰქონდა ინსპექტირების განხორციელების შესაძლებლობა,მაგრამ თავად პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა, მას ,,მინიმალურზე ცოტა მეტი გარანტია უწოდა''.[124] საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 31 მარტამდე მისცა დრო პარლამeნეტს, რომ გადაწყვეტილების შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები განეხორციელებინა. [125] საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა იმას,რომ კანონით არ იყო დარეგულირებული

---

[121] იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება საქმეზე -საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,II,პ.59.

[122] იქვე.

[123] იქვე,61.

[124] იქვე,65.

[125] იქვე,III,პ.5.

როდის რომელი მოწყობილობის დამონტაჟების უფლება ჰქონდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს [126] . „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 83 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი[127] აძლევდა უფლებას უფლებამოსილ ორგანოს ,, განეთავსებინა მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემა და სხვა სათანადო აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები“ , სწორედ „სხვა სათანადო აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების“ განთავსების უფლებამოსილებაში იქნა ამოკითხული ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის გვერდის ავლის შესაძლებლობა.[128]

3.2.საკანონმდებლო ცვლილებები

საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილების საფუძველზე კანონმდებლობაში განხორციელდა მთელი რიგირ ცვლილებები. გაუქმდა ორ ეტაპიანი ელექტრონული სისტემა[129] და პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორს მიეცა ფარული საგამოძებო მოქმედების,კერძოდ, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შეჩერების უფლება კონტროლის ელექტრონული სისტემით[130] შემდეგ შემთხვევებში: 1)თუ 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე არ მიეწოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის

[126] იქვე,II,პ.59.
[127] იხ.30.11.2014-დან 30.03.2017-მდე მოქმედი რედაქცია.
[128] იხ.საკონსტიტუციო სასამართლოს განწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერი II,56, < https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960?publication=0>[25.05.2019].
[129] იხ.სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 22.03.2017 წლის მდგომარეობით,<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=77> [25.05.2019].
[130] ამასთან დაკავშირებით იხ.დანართი N2.

ელექტრონული სისტემის მეშვეობით;[131] 2) სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების და ჩაწერის განჩინება,რომელიც შეიცვას მხოლოდ რეკვიზიტებს და სარეზოლუციო ნაწილს ,გამოტანისტთანავე დაუყოვნებლივ მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა არ გადაეცა მატერიალური(დოკუმენტური) სახით;[132]3) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, ფარული საგამოძიებო მოქმედების დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 12 საათისა პროკურორს ან პროკურორის დავალებით გამომძიებლს მატერიალური (დოკუმენტური) სახით არ წარუდგენია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვისს; 4) სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების და ჩაწერის გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელების თაობაზე პროკურორის დადგენილება,რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებს და სარეზოლუციო ნაწილს სააგენტოს მიერ მიღებისთანავე არ მიეწოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს;[133]

5) მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს;[134]

---

[131] შეჩერების საფუძველს აღმოფხვრის სააგენტო (სსსკ-ის 143⁶-ის მე-7 ნაწილი) 17.04.2019-ის რედაქცია<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=104>[25.05.2019].

[132] შეჩერების საფუძველს აღმოფხვრის სასამართლო (სსსკ-ის 143⁶-ის მე-8 ნაწილი) 17.04.2019-ის რედაქცია< https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=104 >[25.05.2019].

[133] შეჩერების საფუძველს აღმოფხვრის პროკურორი ან შესაბამისი საგამოძებო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი(სსსკ0ის 143⁶-ის მე-9 ნაწილი)17.04.2019-ის რედაქცია < https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=104 >[25.05.2019].

[134] შეჩერების საფუძველს აღმოფხვრის პროკურორი ან შესაბამისი საგამოძებო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი (სსსკ-ის 143⁶-ის მე-10 ნაწილი) 17.04.2019-ის რედაქცი ა< https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=104> [25.05.2019].

6) მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში სსსკ-ის 143[3]-ის 6[2] -ის მონაცემი ერთმანეთს არ ემთხვევა.[135]

საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილებამ განაპირობა ის,რომ ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი ჩაანაცვლა ოპერატიულ ტექნიკურმა სააგენტომ. [136] განმარტებით ბარათში არა ერთხელ ხაზი გაესვა იმას, რომ იგი იქნებოდა დამოუკიდებელი და პროფესიული ინტერესის არ მქონე ორგანო, არ ექნებოდა საგამოძიებო, სადაზვერვო ან კონტრსადაზვერვო ფუნქციები და ამ თვალსაზრისით არ იქნებოდა პროფესიულად დაინტერესებული, მოიპოვებინა მეტი ინფორმაცია.[137] თუმცაღა დამოუკიდებლობა სააგენტოსი შესაძლოა ეჭვ ქვეშ დადგეს,რადგან იგი აღმოცენდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში [138] .სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს ერთ-ერთ საგამოძიებო ორგანოს(სსსკ-ის 34-ე მუხლის 1 ნაწილი),შესაბამისად იგი პროფესიულად დაინტერესებულია გამოიძიოს დანაშაული და მიიღოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია,რაც ადამიანთა პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევის საფრთხეს ზრდის.სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გავლენა სააგენტოზე შესაძლოა გამოიხატებოდეს იმაშიც,რომ სააგენტოს უფროსის კანდიდატურას პრემიერ მინისტრს წარუდგენს 7 წევრისგან შემდგარი სპეციალური კომისია,რომლის თავმჯდომარეც არის სახელმწიფო

---

[135] შეჩერების საფუძველს აღმოფხვრის პროკურორი ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი (სსსკ-ის 143[6]-ის მე-10 ნაწილი) 17.04.2019-ის რედაქცია< https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=104> [25.05.2019].

[136] იხ.იხ.სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 22.03.2017 წლის მდგომარეობით, < https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=77 > [25.05.2019].

[137] იხ.პარლმანეტის განმარტებითი ბარათი, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/141415?> [25.05.2019].

[138] იხ. საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ , მუხლი 1.

უსაფრთხოების სამსახურის უფროსი,[139] ასევე სამსახურის უფროსის წარდგინებით პრემიერ მინისტრი ათავისუფლებს სააგენტოს უფროსს.[140] არაპირდაპირ გავლენად შეიძლება ჩავთვალოთ ის ფაქტი,რომ სააგენტოს უფროსი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს სააგენტოს შიდა სტრუქტურას, საშტატო ნუსხას და სააგენტოს მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს;[141] არაპირდაპირ გავლენად შეიძლება ჩავთვალოთ ისიც,რომ თუ უფლებამოსილებას ვერ ახორციელებს ვერც სააგენტოს უფროსი და ვერც მისი პირველი მოადგილე,უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრული სააგნეტოს უფროსის ერთ-ერთი მოადგილე ასრულებს.[142] არაპირდაპირი გავლენის მაჩვენებელია ისიც,რომ სამსახურის ინსპექცია ამოწმებს ოპერატიულ -ტექნიკური სააგენტოს მოსამსახურეთა საქმიანობას.[143] სააგენტოს როგორც- ,,პროფესიულად ინტერესის არ მქონეს'' სტატუსს -ეჭვ ქვეშ აყენებს მისი უფლებამსილება უზრუნველყოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ბირთვული, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური უსაფრთხოება,[144] საკითხავია სწორედ ეს უფლებამოსილება ხომ არ აქცევს მას პროფესიულად დაინტერესებულ ორგანოდ რააც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიპოვოს?[145]

საინტერესოა რომელი ორგანოები უზრუნველყოფენ სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას საზღვარგარეთის ქვეყნებში.სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა ***უკრაინის*** საპროცესო კოდექსის მიხედვით ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების და უსაფრთხოების სამსახურის მიერ.

---

[139] იქვე,მუხლი 19.
[140] იქვე,მე-19 მუხლის მე-6 ნაწილის ,,ა'' ქვ/პ.
[141] იქვე,მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის ,,მ'' ქვ/პ.
[142] იქვე,მე-20 მუხლის მე-5 ნაწილი.
[143]იხ. საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ,მუხლი 50.
[144]იხ. საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ მე-8 მუხლის მე-4 ნაწილის ,,დ'' ქვ/პ.
[145] იხ.საკონსტიტუციო სასამართლოს განწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერი II,37-39, < https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960?publication=0>[15.06.2019}.

სატელეკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის თანამშრომლებს და მენეჯერებს შესაძლოა მოეთხოვოთ ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაში ხელშეწყობა. მიღებული უნდა იქნას შესაბამისი ზომები,რომ განხორციელებული ქმედებები და მიღებული ინფორმაცია არ გახმაურდეს,ამასთანავე მიღებული ინფორმაცია უნდა იქნას შენარჩუნებული უცვლელი სახით.(სსსკ-ის 263 მუხლის მე-4 ნაწილი).[146]

მოლდოვის სსსკ-ის მიხედვით,სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება ჩაწერა ხორციელდება საგამოძებო ორგანოს მიერ.ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ინფორმაციის და უსაფრთხოების სამსახური.განხორციელებული ქმედებების უნდა იქნას საიდუმლოდ შენახული,წინააღმდეგ შემთხვევაში გათვალისწინებულია სსკ-ით დასჯადობა (სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველი ნაწილი).[147]

თურქეთის სსსკ-ის მხედვით სატელეფონო კომუნიკაციის ფაულ მიყურადებას და ჩაწერას ახორციელებენ იმ დაწესებულების წარმომადგენლები,რომლებიც უზრუნველყოფენ სატელეკომუნიკაციო მომსახურებას (სსსკ-ის 137-ე მხლის პირველი ნაწილი).[148]

ნიდერლანდების სსსკ-ის მიხედვითაც სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა ხორციელდება სატელეფონო კომუნიკაციის ქსელების პროვაიდერების დახმარებით,რომელთაც დახმარების მოთხოვნით მიმართავს პროკურორი ორდერით (სსსკ=ის 126m მუხლის მე-3 ნაწილი).[149]

ხორვატიის საპროცესო კოდექსის მიხედვითაც სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების და ჩაწერის განმახორიცელებელი არის ტექნიკური ოპერაციის ცენტრი,აგრეთვე შესაძლოა რომ სატელეფონო კომუნიკაციის ქსელების პროვაიდერები დაავალდებულონ დახმარება გაუწიონ სამართალდამცავ ორგანოებს,თუ არ შეასრულებენ მოთხოვნას

---

[146] იხ.უკრაინის სსსკ,<https://rm.coe.int/16802f6016>[05.06.2019].
[147] იხ.მოლდოვის სსსკ, < https://bit.ly/2Wiu7Uq > [05.06.2019].
[148] იხ.თურქეთის სსსკ, < https://bit.ly/2wE7Q9q> [05.06.2019].
[149] იხ.ნიდერლანდების სსსკ, https://bit.ly/2JYqbqe [05.06.2019].

ისინი დაჯარიმდებიან თუ ამის შემდეგაც არ შეასრულებენ ,შესაძლოა დააპატიმრონ (სსსკ-ის 335-ე მუხლის მე- 2 ნაწილი).[150]

ქართულ რეალობაშიც იყო ინიციტივა ,რომ მობილური ოპერატორებისთვის გადაეცათ ე.წ. ,,გასაღები''. 2014 წლის სექტემბრის ბოლოს ევროსაბჭოს ექსპერტებმა ფარულ ოპერატიულ-საგამოძიებო მოსმენებზე წვდომის მექანიზმებთან დაკავშირებით ქართულ მხარეს ე.წ. ორგასაღებიანი სისტემის შემოღება შესთავაზეს . ჯოზეფ კანატაჩიმ და გრეჰემ სატონიმ აღნიშნულ თემაზე მომუშავე ჯგუფს ურჩიეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ფარული მოსმენა-მიყურადების გასაღები შინაგან საქმეთა სამინისტროს ექნება, კერძო პროვაიდერს ან მონიტორინგის სპეციალურ სამსახურს მეორე გასაღები გადაეცეს, რაც უკანონო მოსმენებისგან დაცვას მეტად უზრუნველყოფს. თუცაღა მობილური ოპერატორები ხელში ,,გასაღების" გადაცემის ინიციატივა უგულებელყოფლი იქნა იმ მოტივით,რომ შეიძლებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას შექმნოდა საფრთხე.ისინი კერძო პირები არიან და გაცილებით დიდია საფრთხე იმისა, რომ, მათი მეშვეობით, უცხო სახელმწიფოებმა საშიშროება შეუქმნან საქართველოს სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. აღსანიშნავია, რომ მობილური პროვაიდერებმა თავადაც უარი განაცხადეს ფარულ მოსმენებთან დაკავშირებული ბერკეტების მათთვის მიკუთვნებაზე.[151]

ოპერატიულ ტექნიკური სააგენტო ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაცემად ქმნის მონაცემთა ცენტრალურ ბანკს. [152] სააგენტო უფლებამოსილია ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები შეინახოს არაუმეტეს 12 თვის ვადით, ეს

---

[150] იხ.ხორვატიის სსსკ, <file:///C:/Users/User/Downloads/Croatia_Criminal_proc_code_am2009_en(1).pdf> [05.06.2019].

[151] იხ. https://bit.ly/2ENEs51 [05.06.2019];< https://www.kvirispalitra.ge/politic/23222-gasaghebis-dilema.html?add=1>[05.06.2019].

[152] იხ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ კანონი,მე-11 მუხლის პირველი ნაწილი,<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3597534?publication=5>[01.06.2019].

ვადა შესაძლოა გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვით, საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ან სამსახურის უფროსის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მოსამართლის განჩინებით. ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვის 12 თვიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს, თუ:

ა) გამოცხადებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შეგროვება მნიშვნელოვანია ამ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად ან მასთან დაკავშირებული დანაშაულის გამოსაძიებლად;

ბ) არსებობს „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერორისტული საქმიანობის რეალური რისკი;

გ) საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას, სუვერენიტეტს ან ტერიტორიულ მთლიანობას ექმნება რეალური და მყისიერი საფრთხე ან უახლოეს მომავალში მკაფიოდ იდენტიფიცირებადი საფრთხე;

დ) გარკვეულ ვითარებაში კონკრეტული დანაშაულის გამოძიება (კერძოდ, პასუხისმგებელ პირთა დადგენა) ან/და პრევენცია მხოლოდ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შეგროვებითაა შესაძლებელი.[153] ვიდრე იარსებებდა 12 თვიანი ვადა,მანამდე არსებობდა 2 წლიანი ვადა,საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625 გადაწყვეტილებაში აღნიშნა,რომ ,,მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვა წარმოადგენს რა უფლებაში ჩარევას, ბუნებრივია, ჩარევის ინტენსივობა და ხარისხი ლოგიკურად მზარდია ჩარევის დროის ხანგრძლივობის პროპორციულად.''[154] ,, სადავო

[153] იხ.იქვე,მე-15 მუხლის პირველი;მე-2; მე-3; ნაწილები.

[154] იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება საქმეზე -საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო

ნორმა არ ზღუდავს სახელმწიფოს ვალდებულებით, მოახდინოს მხოლოდ ამ თვალსაზრისით რელევანტური ინფორმაციის კოპირება და შენახვა. მაშასადამე, ზემოაღნიშნული ინფორმაცია ინახება იმისგან დამოუკიდებლად, აქვს თუ არა პირს თუნდაც ჰიპოთეტური კავშირი სავარაუდო (ჩადენილ ან მომავალში დაგეგმილ) დანაშაულთან. იმ პირობებში, როდესაც მაიდენტიფიცირებელი მონამცემების კოპირება და შენახვა ხდება ყოველგვარი ფილტრაციის გარეშე, აბსტრაქტული საფრთხის არარსებობის პირობებშიც კი, შესაძლებელი ხდება ინფორმაციის ავტომატური დამუშავების გამოყენებით სიღრმისეული დასკვნების გამოტანა ადმიანის პირადი ცხოვრების შესახებ. ასეთ პირობებში, განცდა და ცოდნა იმისა, რომ თითოეული ადამიანის ყველა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია ინახება სახელმწიფოს ხელთ, თავისთავად შეიძლება იწვევდეს პიროვნების თვითშეზღუდვას. ბუნებრივია, ასეთი ბლანკეტური, ტოტალური შეგროვება ინფორმაციისა ასევე თავისთავად ზრდის უფლებაში ჩარევის ინტენსივობას.'' [155] ისმის კითხვა რა ცვლილება განხორციელდა ამის საფუძველზე? ვადა შემცირდა სხვა მხრივ კი არაფერი შეცვლილა.კვლავაც მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და შენახვა ხდება ყოველგვარი ფილტრაციის გარეშე და ამის არგუმენტად დავით გაბეხაძემ მოიყვანა ის ,რომ საჭირო ინფორმაციის წინასწარი პროგნოზირება შეუძლებელიაო. [156] ასევე მან შეუძლებლად მიიჩნია ინდივიდუალური მიდგომის განხორციელებაც,რასაც არ ვეთანხმები,რადგან კანონი ითვალისიწინებს სწორედ ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე 12 თვიანი ვადის გაზრდა არა უმეტეს 3 თვით ჩამოთვლილი საფუძვლების პირობებში,გამოდის რომ ინდივიდუალური მიდგომის განხორციელება შესაძლებელია. დავით გაბეხაძემ არ გამორიცხა მონაცემების კოპირების მომენტში „ალტერნატიული ბანკის" შექმნის რისკი

საზოგადოება" და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,II,პ.108.

[155] იქვე,II,პ,109.

[156] იხ.საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერი I,პ.68,< https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960?publication=0 >,[01.06.2019].

და მიუთითა, რომ ამგვარი რისკის განეიტრალების ერთადერთი შესაძლებლობაა, ის რომ მონაცემთა ცენტრალურ ბაკის შექმნის უფლებამოსილება არ ჰქონდეს პროფესიული ინტერესის მქონე ორგანოს.[157] სააგენტოს-როგორც პროფესიული ინტერესის არ მქონე ორგანოს-სტატუსი ეჭვს ბადებს და ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრე.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილების საფუძველზე ცვლილება განხორციელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონში და დაემატა 35[1] მუხლს მე-4 [1] ნაწილი,რომლის თანახმადაც სააგენტოს შემოწმების (ინსპექტირების) განხორციელებისას ინსპექტორი უფლებამოსილი იყო:

ა) შესულიყო სააგენტოს შეზღუდული დაშვების არეალებში და მიმდინარე რეჟიმში დაკვირვებოდა უფლებამოსილი ორგანოების მიერ საქმიანობის განხორციელებას;

ბ) გაცნობოდა სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელ (მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ) სამართლებრივ დოკუმენტებსა და ტექნიკურ ინსტრუქციებს;

გ) მიეღო ინფორმაცია ფარული საგამოძიებო მოქმედებების მიზნებისათვის გამოყენებული ტექნიკური ინფრასტრუქტურის შესახებ და შეემოწმებინა ეს ინფრასტრუქტურა;

დ) სააგენტოს მოსამსახურეებისაგან მოეთხოვა ახსნა-განმარტებები შემოწმების (ინსპექტირების) პროცესში გამოვლენილ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით;

ე) განეხორციელებინა ამ კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.[158]

თუმცაღა საკითხავია რამდენად ეფექტური და წინ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ ეს ცვლილება, იქიდან გამომდინარე რომ ვიდრე ეს ჩანაწერი გაჩნდებოდა კანონში,აღნიშნული უფლებები პერსონალურ

---

[157] იხ.იქვე.

[158] იხ.საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ 22.03.2017 წლის მდგომარეობით,<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=10>[27.05.2019].

მონაცემთა დაცვის ინსპექტროს ჰქონდა მანამდეც,რაც გაწერილი იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ბრძანებაში[159],შესაბამისად მაშინ როდესაც საკონსტიტუციო სასაამრთლო განიხილავდა სარჩელს,რის საფუძველზეც დადგა 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება,მიუხედავად ამ უფლებების არსებობისა საბოლოო ჯამში, საკონსტიტუციო სასამართლომ მაინც არა ეფექტურად ჩათვალა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ხელთ არსებული კონტროლის მექანიზმები. 08.05.2019 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი ჩაანაცვლა უფლებამონაცვლემ-სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა.[160] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არის დამოუკიდებელი ორგანო,რომლის მიზანია, განახორციელოს:ა) პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი; ბ) ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი; გ) სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონის მე-19 მუხლის[161] პირველი პუნქტით განსაზღვრულ დანაშაულთა

---

[159] იხ.პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 04 მარტის N1 ბრძანება, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3212774?publication=0> [27.05.2019]; ამის თაობაზე თავადაც განაცხადა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა თამარ ქალდანმა-იხ.იხ.საკონსტიტუციო სასამართლოს განწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერი I,47,
< https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960?publication=0> [27.05.2019].

[160] იხ.საქართველოს კანონი სახელმიწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ,
< https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=3>[29.05.2019].

[161] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა შემდეგი დანაშაულები: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441−1443 მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაული, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში ანდა ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ანდა აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ.

მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება.[162] აღნიშნული სამსახური ერთი მხრივ აწარმოებას გამოძიებას,ხოლო მეორე მხრივ აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ,ინსპექტირების განხორციელების ვალდებულება,ვფიქრობ,მართებული იქნებოდა ეს სამსახური აბსოლუტურად გამიჯნული ყოფილიყო საგამოძიებო ფუნქციისგან და ყოფილიყო ის დამოუკიდებელი ორგანო რომლის ვალდებულებაც იქნებოდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი და ბ) ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი; საგამოძიებო ორგანოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაც უნდა შეამოწმოს პერსონალუირ მონაცემთა დაცვის უფლების მქონე პირმა თუ ორგანომ,შესაბამისად გამოდის რომ რიგ შემთხვევაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა უნდა შეამოწმოს თავისი თავი,რაც არა ლოგიკურია. [163] ლოგიკურია ვიფიქროთ,რომ ერთი მხრივ გამოძიების და მეორე მხრივ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფუნქიციების ერთი ორგანოს ქვეშ მოქცევა განხორციელდა ხარჯების დაზოგვის გამო, თუმცა უფრო ლოგიკური იქნებოდა ხარჯების დასაზოგად მიემართათ სხვა გზისთვის,კერძოდ, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის წიაღში აღმოცენებულიყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის განმახორციელებელი სამსახური და ცალკე შექმნილიყო დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო,რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებს გამოიძიებდა,პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თავისი არსით იყო დამოუკიდებელი და მხოლოდ მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე,შესაბამისად გაუგებარია და არ მიმაჩნია სწორად ზემოთ ხსენებული ორი ფუნქციის გაერთიანება.

---

[162] იხ.საქართველოს კანონი სახელმიწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ,მუხლი2, < https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=3>[29.05.2019].

[163] იხ.სტატია ინტერესთა კონფლიქტი და საფრთხეები, https://bit.ly/2WIGFF1 [15.06.2019].

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების მიხედვით გაზრდილია ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ფუნქციები.ის ახდენს (ინსპექტირების) ფარგლებში მონაცემთა დამმუშავებელის/უფლებამოსილი პირის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის, მათ შორის კომპიუტერული სისტემების, უსაფრთხოების და კანონთან შესაბამისობის ტექნიკურ აუდიტს (შემოწმებას).ახორციელებსსატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანაწერზე ზედამხედველობას კონტროლის ელექტრონული სისტემისა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით; სსსკ-ის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობას ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (მათ შორის, ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებისა და მასალის განადგურების ოქმების) სამსახურის ფარული საგამოძიებო მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონულ სისტემაში აღრიცხვითა და წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზით; ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით; კონტროლის ელექტრონულ სისტემაში, კონტროლის სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონულ სისტემაში და აპარატის ფარული საგამოძიებო მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ინციდენტების მონიტორინგს; ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან (მათ შორის ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებისა და მასალის განადგურების ოქმების), ასევე კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვასთან დაკავშირებული შემოსული დოკუმენტების რეგისტრაციას

სამსახურის ფარული საგამოძიებო მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონულ სისტემაში და სხვ.[164]ცვლილებები შეეხო ინფორმაციული უსაფრთოხების[165] ოფიცერსაც, ის ადრე შედიოდა ადმინისტრაციული სამმართველოს შემადგენლობაში და მისი ფუნქციები არ იყო ცალკე გაწერილი,დღეს ის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტია და არ შედის არცერთი სტრუქტურული ერთეულის დაქვემდებარებაში, ექვემდებარება უშუალოდ ინსპექტორს, გაიწერა მისი ფუნქციებიც. მისის ძირითადი ფუნქციაა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე სტანდარტების, წესების, ინსტრუქციების, პროცედურებისა და სხვა დოკუმენტების შემუშავება და მათ შესრულებაზე მონიტორინგი; ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვის შესაბამისად სამოქმედო გეგმის შედგენა და ამ გეგმის შესრულების შესახებ პერიოდული ანგარიშის წარდგენა; განცხადების განხილვის ან/და ინსპექტირების პროცესში სამსახურის მხარდაჭერა ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით და სხვ.[166]

---

[164] შეად. სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 22 მაისის ბრძანება №1 სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 15, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4567533?publication=0>და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 04 მარტის ბრძანება N1, მუხლი 19, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3212774> [01.06.2019].

[165] ინფორმაციული უსაფრთხოება – საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების წვდომის, ერთიანობის, ავთენტიფიკაციის, კონფიდენციალურობისა და განგრძობადი მუშაობის დაცვას,იხ.საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ,მუხლი1,< https://matsne.gov.ge/ka/document/view/1679424?publication=3>[01.06.2019].

[166] შეად. სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 22 მაისის ბრძანება №1 სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი;მე-19 მუხლი https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4567533?publication=0 და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 04 მარტის ბრძანება N1, მუხლი 21, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3212774 [01.06.2019].

თავი IV.კონტროლის მექანიზმები

4.1. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლი

4.1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების – სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის (გარდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებისა) ჩატარების დროს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური აკონტროლებს:

ა) კონტროლის ელექტრონული სისტემით – მონაცემთა დამუშავების კანონიერებას;

ბ) კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით – მონაცემთა დამუშავების კანონიერებას;

გ) მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას (ინსპექტირება).[167]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება) გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების (გარდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებისა) ზედამხედველობას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ახორციელებს მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით

[167] საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ,მე-18 მუხლის პირველი ნაწილი,<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=3>[31.05.2019].

(ინსპექტირებით), ამ კანონით დადგენილი წესით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შემოწმების (ინსპექტირების) განხორციელებისას ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე პირის (გარდა მონაცემთა სუბიექტისა, გამომძიებლისა და პროკურორისა) ვინაობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა და მისი შემოწმების (ინსპექტირების) განხორციელების პროცესში მონაწილეობა, აგრეთვე ამ პუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების დროს გამოყენებული ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური აღჭურვილობის მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა შესაძლებელია მხოლოდ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი ორგანოს ხელმძღვანელის თანხმობით. [168] ვფიქრობ, ხემძღვანელის თანხმობა არ უნდა სჭირდებოდეს და ეს ჩანაწერი არის დამაბრკოლებელი გარემოება ინსპექტირების პროცესში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „დ“ და „ვ“(ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების (გარდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებისა) ზედამხედველობას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ახორციელებს

[168] იქვე,მე-4 ნაწილი.

მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით). ყურადღებას გავამახვილებ ინტერნეტსივრციდან მოპოვებულ ინფორმაციაზე,საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ კიდევ 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625 გადაწყვეტილებაში აღნიშნა,რომ ინტერნეტსივრცეში ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების პროცესზე კანონმდებლობით ფაქტობრივად არ იყო გათვალისწინებული კონტროლის არანაირი ბერკეტი, ამასთან, მოწმემ პრაქტიკულადაც გამორიცხა დავირუსების გზით ინფორმაციის მოპოვებაზე კონტროლის ყველანაირი შესაძლებლობა, რაც გულისხმობდა, რომ სახელმწიფოს შეეძლო, უკონტროლოდ და შეუზღუდავად მიეღო აღნიშნული წყაროდან ინფორმაცია.ინსპექტირება კონტროლის არასაკმარის მექანიზმად დაასახელა.[169] მინდა აღვნიშნო,რომ დღესაც ამ მხრივ არაფერი შეცვლილა და ერთადერთი კონტროლის მექანიზმი რაც არსებობს არის ინსპექტირება,ეს დაადასტურა სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა დავით გაბეხაძემ,მან განაცხადა რომ ინტერნეტკომუნიკაციებთან მიმართებით ლოგირების მონაცემების მიწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის ტექნიკურად ვერ ხორციელდება,ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ნახევრად სტაციონარულ ტექნიკურ საშუალებებთან მიმართებით განმარტა, რომ სტაციონარულისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ტექნიკურად შეუძლებელია რეალურ რეჟიმში ლოგირების მონაცემების ინსპექტორისათვის მიწოდება. მან ასევე აღნიშნა ,რომ ინტერნეტთან მიმართებით სტაციონარული ტექნიკური საშუალებებით ინფორმაციის

[169] იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება საქმეზე -საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,II,პ.76-77.

რეალურ დროში მოპოვება არ ხდება, რადგან, პირველ რიგში, ამისათვის აუცილებელია ძვირადღირებული სისტემა და ამასთან, იგი ნაკლებად ეფექტურია. ამასთან, მოწმე მიუთითებს, რომ ამ სისტემის აწყობა დიდ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული თავად ინტერნეტკომუნიკაციების კომპანიებისთვისაც, რადგან მათ მთლიანად მოუწევთ მათი ქსელის შეცვლა და ახალი სისტემის აწყობა. თუმცა მომავალში ამგვარი სისტემის აწყობას ტექნიკურად შესაძლებლად მიიჩნევს.[170]მიმაჩნია,რომ აღნიშნული ხარჯები დაუყოვნებლივ უნდა იქნას გაღებული,თუ გავითვალისწინებთ ინტერნეტის მზარდ როლს ადამიანთა პირად ცხოვრებაში,საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ- ხაზი გაუსვა იმას ,რომ ,,ინტერნეტის მნიშვნელობა თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის ძალიან დიდია და ყოველდღიურად მზარდი. ის ადამიანთა კომუნიკაციის, მოსაზრებების გაცვლის, გაზიარების ძალზე ეფექტური და მოსახერხებელი საშუალებაა.''[171] საკონსტიტუციო სასამართლომ ამავე გადაწყვეტილებაში მიუთითა იმაზეც ,რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით ,,დაცულია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ურთიერთობა ტელეფონის, ფაქსის, ინტერნეტის, ელექტრონული და ჩვეულებრივი ფოსტის და ნებისმიერი სხვა ტექნიკური საშუალებით". [172] სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა იმასაც,რომ ინტერნეტი არის კომუნიკაციის ერთ-ერთი შესაძლებლობა ურთიერთობისთვის, ამიტომ თუ არ იარსებებს ანონიმურობის და ინფორმაციის დაცულობის გარანტია, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება

---

[170] იხ.საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერი I,92, < https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960?publication=0> I,პ.72;74;83.[30.05.2019].

[171] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბერის №1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე ,, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,II,პ.5.

[172] იქვე,II,პ.5.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და საბოლოო ჯამში ხელი შეეშლება დემოკრატიის განვითარებას.[173]

როდესაც ამოქმედდება გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრამის ჩატარებას (გარდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებისა) ინსპექტორის სამსახური გააკონტროლებს გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით და მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით).[174]

საინტერესოა, რამდენად ეფექტურია ინსპექტრების მეთოდი?საკონსტიტუციო სასაამრთლომ 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625 გადაწყვეტილებაში განაცხადა,რომ ,,ინსპექტირების ეფექტურობას შეიძლება განაპირობებდეს ინსპექტორის სრული დისტანცირება პროცესისგან, ამასთან, როდესაც უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციის შედარება შესაძლებელია სხვა წყაროდან მიწოდებულ ინფორმაციასთან. მაგალითად, თუ ინსპექტორი ერთმანეთს შეადარებს დამოუკიდებელი ორგანოს ან კომუნიკაციის კომპანიის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციასთან. შესაბამისად, იგი ორი სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის შედარებას და კონტროლს უნდა ახორციელებდეს. მოქმედი რეგულაციების პირობებში კი ეს გამორიცხულია.”[175] ამ მხრივ,შეიძლება აღინიშნოს რომ დღესაც არაფერი შეცვლილა.

როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა განაცხადა საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე ,ის ინსპექტირებისას იყენებდა აუდიტის მეთოდოლოგიას,მაგრამ მას არ ეწოდებოდა აუდიტი და ეწოდებოდა ინსპექტირება,ის ინსპექტირების

[173] ქვე,II,პ.6.
[174] საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ,მე-18 მუხლის მე-5 ნაწილი,https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=3[30.05.2019].
[175]იხ.II,პ.65.

მეთოდებს და ფორმებს განსაზღვრავდა თავად[176] ანუ ეს პროცედურა არ იყო გაწერილი ,ამგვარი სიტუაციაა დღესაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ამოქმედების შემდეგ,არ შეგვიძლია თუნდაც ნორმატიულ დონეზე გავეცნოთ რა მეთოდებს და ფორმებს გამოიყენებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ინსპექტირების პროცესში.2018 წლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიშში ვკითხულობთ,რომ,,რაც შეეხება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[1] მუხლის შესაბამისად განხორციელებულ შემოწმებებს,საგულისხმოა,რომ 2018 წლის განმავლობაში ჩატარდა სსიპ,,ოპერატიულ ტექნიკრი სააგენტოს'' ორი ინსპექტირება,ასევე,დასრულდა 2017 წელს დაწყებული ორი ინსპექტირება.შესწავლილი იქნა როგორც სააგენტოს მიერ კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების ნახევრად სტაციონალური ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ფარული საგამოძიებო მოქმედების-სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადებისა და ჩაწერისას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერება,ასევე,ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების შედეგად მონაცემთა დამუშავების კანონიერება''. [177] ამით სრულდება საუბარი სააგენტოზე, სრულდება ისე რომ არ გვაწვდის ამომწურავ ინფორმაციას,ვერ ვიგებთ რაიმე კანონდარღვევას ჰქონდა თუ არა ადგილი სააგენტოს მიერ მონაცემთ დამუშავებისას,ეს ფაქტი მეტყველებს კონტროლის არაეფექტურობაზე. რამდენად გამოიყენებს მისთვის კანონით მინიჭებულ მექანიზმებს ეს უნდა აჩვენოს დრომ და ამ სამსახურის საქმიანობამ.უმჯობესი იქნება კანონით სავალდებულოდ განისაზღვროს წლის განმავლობაში განსახორციელებელი ინსპექტირების სავალდებულო მინიმუმი.

---

[176] იხ.საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგბელი სხდომის საოქმო ჩანაწერი I,პ.97, < https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960?publication=0 >,[01.06.2019].

[177] იხ.პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ ანგარიში , თბილისი,2018,36-37.

4.2.სააგენტოს კონტროლის მექანიზმები

საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ კანონის მიხედვით,სააგენტოს კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმია საპარლამენტო კონტროლი ნდობის ჯგუფის მეშვეობით, [178] მაგრამ ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურად ვინაიდან ის არ ვრცელდება სსსკ-ით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე და ვრცელდება მხოლოდ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით [179] გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებასა და იმავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებებზე [180] . ამასთანავე ნდობის ჯგუფი ვალდებული კი არა, უფლებამოსილია შეამოწმოს სააგენტოს საქმიანობა წელიწადში არაუმეტეს ორჯერ,ამას ახორციელებს ნდობის ჯგუფის 1 წევრი [181] ,კანონი არ მოითხოვს რაიმე სპეციალური ცოდნის ფლობას,შესაბამისად აღნიშნული კონტროლის მექანიზმი არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურად. შეიძლება ითქვას რომ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ კანონში ჩამოთვლილი კონტროლის მექანიზმებიდან ყველაზე ეფექტური არის 2019 წლის 08 მაისს ამოქმედებული სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. [182] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს აქვს კონტროლის ყველა ის უფლება რაც ჰქონდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს და რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრე,კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის 35[1]

---

[178] იხ. საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ,24-ე მუხლის პირველი ნაწილი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3597534?publication=5>[29.05.2019].

[179] იგულისხმება საფოსტო კორესპონდენციის კონტროლი.

[180] იგულისხმება ა)სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა;
ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;

[181] იხ.საქართველოს კანონი ნდობის ჯგუფის შესახებ,6[1] მუხლის მე-2 ნაწილი.

[182] იხ. საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ ,მუხლი 28,< https://matsne.gov.ge/ka/document/view/3597534>[29.05.2019].

მუხლს მე-4[1] ნაწილით გათვალისწინებული უფლებები დღეს გვხდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონის 18-ე მუხლის მე-7 ნაწილში.

სააგენტო უფლებამოსილია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განსახოციელებლად შეიძინოს, შექმნას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს შესაბამის ღონისძიებათა განხორციელებისთვის აუცილებელი ტექნიკური, აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები. [183] ე.წ. მართლზომიერი გადაჭერის მართვის სისტემის (Legal Interception Manegement System), მთავარი კომპონენტია – გადაჭერის მედიაციის სერვერი (Interception Mediation Server) იგივე შავი ყუთი. [184] შავი ყუთი არის მოწყობილობა, რომელიც მიერთებულია კომუნიკაციის კომპანიის სისტემასთან. მოწყობილობას აქვს სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას აძლევს მას, რომ მიიღოს ინფორმაცია, რომელიც გადის ამ კომუნიკაციის კომპანიის მეშვეობით ანუ, ერთი მხრივ, ეს ინფორმაცია მიიღოს და მეორე მხრივ, ეს ინფორმაცია გადასცეს იმას, ვისთანაც არის მიერთებული. [185] შავ ყუთში ხდება ინფორმაციის დალექვა ჩატარებული მოსმენების შესახებ.შესაბამისად ოპერატიულ ტექნიკურ სააგენტოს დღეის მდგომრეობით აქვს თავისუფალი წვდომა მასზე და შეუძლია რომ განახორციელოს სხვადასხვა მანიპულაციები,კერძოდ, წამოიღოს,შეინახოს და წაშალოს კიდეც ინფორმაცია, ისე რომ მაკონტროლებელი ორგანო (სახელმწიფო ინსპეტორის სამსახური)ამას ვერ მიხვდება,რადგან მას შეუძლია მხოლოდ ინსპექტირების ფარგლებში შევიდეს სააგენტოს შეზღუდული დაშვების ფაარგლებში და მიმდინარე რეჟიმში დააკვირდეს განხორციელებულ საქმიანობას,ისე რომ ვერ ექნება ინფორმაცია წარსულში განხორციელებულ მანიპულაციებზე.შესაბამისად გამოდის, რომ კანონით

[183] იხ. საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ,მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის ,,დ'' ქვ/პ,https://matsne.gov.ge/ka/document/view/3597534?publication=5[15.06.2019].
[184] იხ.სტატია https://netgazeti.ge/news/37085/[21.06.2019].
[185] იხ.სტატია https://netgazeti.ge/news/37011/ [21.06.2019].

დადგენილი კონტროლის მექანიზმები არა ეფექტურია . აუცილებელია რომ შავ ყუთთან ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებით იყოს მიერთებული სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიც და ტექნიკურად წვდომა სააგენტოს ე.წ. ,,შავ ყუთზე'' სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისგან დამოუკიდებლად არ ჰქონდეს,სერვერზე წვდომა უნდა იყოს შესაძლებელი მას შემდეგ რაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიც და ოპერატიულ ტექნიკური სააგენტოც ერთდროულად ელექტრონულად შეიყვანენ დაშვების კოდს.

4.3.ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტი და სასამართლო კონტროლი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც(სსსკ-ის მე-3 მუხლის 32[1]-ე ნაწილი) და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ კანონის 26-ე მუხლშიც საუბარია ზედამხედველ მოსამართლეზეც,რომელიც ნოვაციას წარმოადგენს სსსკ-ის ფარული საგამოძიებო მოქმედებების თავში. მართალია, 08.05.2019 წლამდეც ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტი არსებობდა ,მაგრამ ის აკონტროლებდა მხოლოდ სააგენტოს მიერ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელებას და „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 14[7] მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობებს იმავე კანონის 14[6] მუხლით დადგენილი წესით და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით,მაგრამ მას შემდეგ რაც ამოქმედდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური,ამოქმედდა ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტიც. სსსკ-ის XVI [1] თავის მიზნებისთვის, ზედამხედველი მოსამართლე არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული საქართველოს

უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ამ კოდექსით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში აკონტროლებს:

ა) სსსკ-ის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ჩატარებას კონტროლის ელექტრონული სისტემითა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით;

ბ) ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობებს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემით(სსსკ-ის მე-3 მუხლის 32[1] ნაწილი).

უნდა აღინიშნოს,რომ 2018 წლის 21 ივლისს განხორციელებული ცვლილების [186] მთავარ მიზეზად გამოცხადდა არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთა დაცვა და ამ მიზნით პროცესულაური გარანტიების და უფლებების გაფართოება.პროცესუალურ უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად მოსამართლის როლის გაზრდა გამოიკვეთა ,რისი დასტურიცაა სსსკ-ში ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტის შემოტანა,რომელიც აკონტროლებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარებას და შეუძლია შეაჩეროს ეს საგამოძებო მოქმედება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტის შემოტანით ,ცხადია,კანონმდებელი ხელს უწყობს მოსამართლის როლის ზრდას.[187]

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედება

[186] ფარული საგამოძიებო მოქმედებების თავში ზედმახედველი მოსამართლე გაჩნდა 2018 წლის 21 ივლისში შესული ცვლილებით,თუმცა ძალაში შევიდა 08.05.2019.
[187] ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით),თბილისი,2018,220-221.

შეიძლება შეაჩეროს ზედამხედველმა მოსამართლემ ელექტრონული სისტემით, თუ ა) მისთვის სსსკ-ის 143[3] მუხლის 5[7] ნაწილით დადგენილი წესით მიწოდებული არ არის ამ კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;[188] ბ)მისთვის ამ კოდექსის 143 [3] მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესით, მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი არ არის ამ კოდექსის 143 [1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ განჩინების ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;[189] გ) მისთვის ამ კოდექსის 143[3] მუხლის 6[4] ნაწილით დადგენილი წესით მიწოდებული არ არის პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;[190] დ)მისთვის ამ კოდექსის 143[3] მუხლის 6[4] ნაწილით დადგენილი წესით მიწოდებული არ არის პროკურორის დადგენილების მატერიალური (დოკუმენტური) სახის ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;[191] ე) მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს; [192] ვ)მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების

---

[188] შეჩერების საფუძველს აღმოფხვრის სააგენტო(სსსკ-ის 143[6] ის მე- 5[3] ნაწილი).
[189] შეჩერების საფუძველს აღმოფხვრის სასამართლო(სსსკ-ის 143[6] -ის მე-5[4] ნაწილი).
[190] შეჩერების საფუძველს აღმოფხვრის სააგენტო(სსსკ-ის 143[6] ის მე- 5[3] ნაწილი).
[191] შეჩერების საფუძველს აღმოფხვრის პროკურორი ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური(სსსკ-ის 143[6] -ის 5[5] ნაწილი).
[192] შეჩერების საფძველს აღმოფხვრის პროკურორი ან ინსპექტორის სამსახური(სსსკ-ის 143[6] -ის მე-5[6] ნაწილი).

რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში ამ კოდექსის 143[3] მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული მონაცემი ერთმანეთს არ ემთხვევა.[193]

სასამართლო კონტროლის მექანიზმად უნდა ჩაითვალოს სსსკ-ის 143[3] მუხლის 6[1] დანაწესი,რომლის თანახმადაც თუ გადაუდებელი აუცილებლობით დაწყებულია/ჩატარებულია ფარული საგამოძიებო მოქმედება,მისი კანონიერად ცნობის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, მოსამართლეს შეუძლია უფლებამოსილი ორგანოდან წერილობით გამოითხოვოს გამოთხოვის მომენტისთვის მოპოვებული მასალის ელექტრონული ეგზემპლარი. მასალის გაცნობის შემდეგ მოსამართლე უზრუნველყოფს დადგენილი წესით მის განადგურებას (სსსკ- ის 143[3] ის 6[1] ნაწილი).

[193] შეჩერების საფუძველს აღმოფხვრის პროკურორი ან ინსპექტორის სამსახური(სსსკ-ის 143[6] -ის მე-5[6] ნაწილი).

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების დროს აუცილებლად ხდება პირის პირად ცხოვრებაში ჩარევა,მაგრამ ეს ჩარევა გამართლებული უნდა იყოს. ,,უფლებაში ჩარევა, მისი ფარული ხასიათიდან გამომდინარე, აჩენს უფლებამოსილების გადამეტების, ბოროტად გამოყენების რისკს, რასაც შესაძლოა მავნე შედეგები მოჰყვეს მთლიანად დემოკრატიული საზოგადოებისთვის. შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში, უფლებაში ჩარევა შეიძლება იყოს გამართლებული მხოლოდ მაშინ, თუ კანონმდებლობა უზრუნველყოფილი იქნება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის ეფექტური მექანიზმებით. სახელმწიფო, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს აყენებს ფარული კონტროლის რისკის ქვეშ, არ უნდა სარგებლობდეს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით“*(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს #1/3/407 „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).* იმის გამო რომ ,,ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას, არ მოხდეს პირის პირადი ცხოვრების უფლების გაუმართლებელი ხელყოფა აუცილებელია ,რომ არსებობდეს როგორც შიდა, ისე გარე კონტროლის ეფექტური, ქმედითი, საკმარისი და, რაც მთავარია, გამჭვირვალე ბერკეტები, მექანიზმები, გარანტიები“ *(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-82).*

თემის კვლევისას აღმოჩნდა რომ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისკანონით დადგენლი კონტროლის მექანიზმები,არ აღმოჩნდა მაინცდამაინც ეფექტური, კვლავაც არსებობს რისკი იმისა, რომ უკანონო მოსმენები განხორციელდეს , აგრეთვე შეიქმნას ე.წ. ალტერნატიული ბანკები.

ვეთანხმები მოსაზრებას,რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არ უნდა შედგებოდეს ერთდროულად გამოძიების უფლების მქონე და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების მქონე პირებისგან. ეს ორი ფუნქცია უნდა იყოს მკვეთრად გამიჯნული და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ერთი ორგანოს შიგნით მოქცეული.

ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს-როგორც დამოუკიდებელი ორგანოს-სტატუსი მთელი რიგი გარემოებების გამო ეჭვ ქვეშ დგას და შეიძლება ვიფიქროთ,რომ მისი სახით კვლავაც სახელწიფო უსაფრთოხების სამსახური მოქმედებს,თუმცა არც ის იქნება პრობლემა,რომ გამოძიების უფლების მქონემ განახორციელოს ფარული საგამოძიებო მოქმედება,მთავარია კონტროლი იყოს ეფექტური,რაც ჩვენს შემთხვევაში არ არის სახეზე.კონტროლის ეფექტურობის მისაღწევად აუცილებელია, რომ ე.წ. შავ ყუთთან ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებით იყოს მიერთებული სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიც და ტექნიკურად წვდომა სააგენტოს ე.წ. ,,შავ ყუთზე'' სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისგან დამოუკიდებლად არ ჰქონდეს,სერვერზე წვდომა უნდა იყოს შესაძლებელი მას შემდეგ რაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიც და ოპერატიულ ტექნიკური სააგენტოც ერთდროულად ელექტრონულად შეიყვანენ დაშვების კოდს.

უნდა აღინიშნოს ისიც,რომ სასწრაფოდ არის ყურადღება გასამახვილებელი ინტერნეტით განხორციელებული კომუნიკაციის ფარულად მოპოვების საკითხზე,ვინაიდან ამის კონტროლი შესაძლებელია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მხოლოდ მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით). ცხადია ეს არასაკმარისი კონტროლის მექანიზმია და როგორც ზემოთ აღვნიშნე,აუცილებელია ინტერნეტის უდიდესი მნიშვნლობიდან გამომდინარე დროულად იქნას ხარჯები გაღებული და სტაციონალური ტექნიკური საშუალებებით მოხდეს ინტერნეტ სივრციდან ინფორმაციის ფარულად მიღება, იმისთვის, რომ

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიეცეს უფრო ეფექტური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა.

არა ეფექტურია თავად ინსპექტირების მეთოდიც ვინაიდან ინსპექტორს კანონით უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შეადაროს ერთმანეთს რამდენიმე წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია.

დადებითად უნდა შეფასდეს ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტის დამკვიდრება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებში, ვინაიდან ეს მიუთითებს კანონმდებლის სურვილზე გაიზარდოს სასამართლო კონტროლი.

უმჯობესი იქება თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს კანონი დაუწესებს ვალდებულებას მინიმუმ რამდენჯერ უნდა განახორციელოს ინსპექტირება 1 წლის განმავლობაში,თორემ ეს მის უფლებამოსილებაზეა დამოკიდებული, შესაბამისად როდესაც კანონი აწესებს უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას შესაძლებელია ასეთი დანაწესის მიმართ მიდგომა იყოს თვითნებური.

ფარული საგამაოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული საკითხები მუდმივად ყურადღების ცენტრშია და განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამს საზოგადოება,შესაბამისად არაერთხელ შევიდა ცვლილებები კანონმდებლობაში საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით,მაგრამ კვლავაც რჩება ხარვეზები ,თუმცა უნდა ითქვას რომ 2016 წელთან შედარებით დღეს კანონმდებლობა უფრო დახვეწილია და უფლებებიც ამ მხრივ მეტად დაცულია.

ბიბლიოგრაფია:

სამეცნიერო ლიტერატურა

1.ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტკარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს.,საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი,თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,თბილისი,2013

2.კილკელი უ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება,ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება,გზამკვლევი,ლ.ჭელიძის,ბ. ბოხაშვილის,თ. მამუკელაშვილის თარგმანი,ლ. ჭელიძის რედაქტორობით,ევროპის საბჭო,2005

3. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადესქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით,თბილისი, 2015

4.ხმალაძე მ. ,ელექტრონული საშუალებებით თვალთვალის საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმები საზღვარგარეთის ქვეყნებში ,თბილისი,2013

5.ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში(ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით),თბილისი,2018

6.ხუციშვილი ე.; ვერძეული ს., ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, საია, თბილისი, 2012

სამართლებრივი აქტები

1.საქართველოს კოსნტიტუცია 13.10.2017 წლის მდგომარეობით

2.საქართველოს კონსტიტუცია 02.04.2018 წლის მდგომარეობით

3. საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის N1324-რს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ

4.ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

5.სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

6.ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.

7. ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონი

8. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ კანონი

9.სსსკ 01.08.2014 მდგომარეობით.

10.სსსკ 27.10.2015 მდგომარეობით.

12.სსსკ 22.03.2017 მდგომარეობით.

13.სისხლის სამართლის კოდექსი

14. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

15. საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ.

16.საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

17.საქართველოს კანონი სახელმიწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ

18.საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ

19. საქართველოს კანონი ნდობის ჯგუფის შესახებ

20.საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი 2006 წლის 02 მარტის მდგომარეობით

21.საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი 2006 წლის 06 ივლისის მდგომარეობით

22.საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი2009 წლის 03 ნოემბრის მდგომარეობით

23.საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2010 წლის 24 სექტემბრის მდგომარეობით

24.საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2014 წლის 01 აგვისტოს მდგომარეობით
25. .საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2015 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობით
26.საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ(18.08.2014)
27.საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2017 წლის 22 მარტის მდგომარეობით
28.პარლამენტის განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
29. განმარტებითი ბარათი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ კანონის პროექტზე
30. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ
31. იხ,პარლმანეტის განმარტებითი ბარათი საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ,
32.საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დებულება
33. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 04 მარტის N1 გრძანება
34.სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 22 მაისის გრძანება №1
35. CRIMINAL PROCEDURE CODE OF UKRAINE
36. Criminal Procedure Code of the Republic of Moldova
37. Criminal Procedure Code of the Republic of Turkey
38. Criminal Procedure Code of the Kingdom of Netherlands
39. Criminal Procedure Code of the Republic of Croatia
40. Criminal Procedure Code of the French Republic

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

1.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე ,, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე _ ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ ”

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბერის №1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე ,, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე ,, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია” და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

4.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება საქმეზე -საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

5. საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები–დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. *CASE OF COSTELLO-ROBERTS v. THE UNITED KINGDOM*

2. CASE OF ROTARU v. ROMANIA
3. CASE OF SUNDAY TIMES v. THE UNITED KINGDOM

ელექტრონული წყაროები

1.ფარული მიყურადების რეგულირება საქართველოში (იანვარი-აგვისტო, 2017), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი,, https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/rule_of_law/surveillance_report_geo.pdf

2.2018 წლის 17 მაისის კანონი (N2355-IIს) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4198982?publication=0#DOCUMENT:1

4. 2017 წლის 01 ივნისისკანონი(N911-IIს)
5. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3683198#DOCUMENT:1

4. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, ფარული მიყურადების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შეფასება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის სტანდარტების მიხედვით < https://bit.ly/2Wo07eQ

5.საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერი https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960?publication=0

6. სტატია ინტერესთა კონფლიქტი და საფრთხეები, https://bit.ly/2WIGFF17

7. სტატია https://netgazeti.ge/news/37085/

8.სტატია https://netgazeti.ge/news/37011/

9. ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრი(2014-2018წწ.) რეესტრი, http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2014w-statis-faruli-reestri.pdf ; http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/+news-faruli-sagamoziebo-moqmedebebi.pdf; http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-statistic-7b.pdf; http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-statistic-7b.pdf; http://www.supremecourt.ge/news/id/1585; http://www.supremecourt.ge/news/id/1889

10. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2018 წლის ანგარიში, https://bit.ly/2UdXafV

დანართები

დანართი N1 [194]

	სულ შემოვიდა	დატოვებულია განუხილველი	განხილულია	დაკმაყოფილდა	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	არ დაკმაყოფილდა	მასალის განადგურება
2014წ.18 აგვისტო -31 დეკემბერი	936		918	596	78	244	10
2015წ.	2719	26	2693	2098	251	344	26
2016წ.	4150	19	4131	3822	107	202	33
2017წ.	6157	10	6147	5931	84	132	16
2018წ.	9606	15	9591	9195	122	274	8

დანართი N2 [195]

2018 წელს აპარატში შევიდა მოსამართლის 1397 განჩინება სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩაწერის დაწყების,გაგრძელების, დაკანონების,ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და უარის შესახებ.
შეჩერების მექანიზმი გამოყენებულ იქნა 96 განჩინების/დადგენილების შემთხვევაში.შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ ფარული საგამოძიებო მოქმედებები გაგრძელდა.
კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით უფლებამოსილ ორგანოს ეცნობა 9 განჩნებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის თაობაზე,რის შემდეგაც განჩინებაში არსებული ხარვეზები აღმოიფხვრა.
სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადება-ჩაწერასთან დაკავშირებული ერთი საქმე ,დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა.

[194] იხ.ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრი, http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2014w-statis-faruli-reestri.pdf ; http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/+news-faruli-sagamoziebo-moqmedebebi.pdf; http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-statistic-7b.pdf; http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-statistic-7b.pdf; http://www.supremecourt.ge/news/id/1585; http://www.supremecourt.ge/news/id/1889, [05.06.2019].

[195] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2018 წლის ანგარიში , < https://bit.ly/2UdXafV >,[05.06.2019].